პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 136 (12050)
პარასკევი,
16
ივნისი,
1961 წ.
გამოცემის 42-ე წელი

ფასი 2 კაპ.

საბჭოთა მთავრობა კვლავაც მთელი თანმიმდევრობით განახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, ხალხთა შორის მშვიდობიანი მეგობრობის პოლიტიკას.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

რადიოთი და ტელევიზიით 1961 წლის 15 ივნისს

ძვირფასო ამხანაგებო!
მეგობრებო!

როგორც იცით, ამ ცოტა ხნის წინათ დავბრუნდი ვენიდან, სადაც ორი დღის განმავლობაში ვხვდებოდი და ვესაუბრებოდი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯონ კენედის.

ჩვენს პრესაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიო პრესაში, გამოქვეყნებული იყო ბევრი მასალა ამის შესახებ. ბევრი თქვენგანი უკვე იცნობს სამახსოვრო ბარათებს, რომლებიც პრეზიდენტ კენედის გადაეცა ვენაში. ეს არის ბარათი ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე და ბარათი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგების საკითხზე.

ალბათ ბევრმა თქვენგანმა წაიკითხა აგრეთვე პრეზიდენტ კენედის გამოსვლა რადიოთი და ტელევიზიით, რომელიც მთლიანად იყო გამოქვეყნებული ჩვენს გაზეთებში. ამრიგად, საბჭოთა საზოგადოებრიობა კარგად არის ინფორმირებული იმ თვალსაზრისის შესახებ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა, იმის შესახებ, თუ რა შეფასება მისცა მან ჩვენს შეხვედრას.

დღეს მინდა გამოვთქვა ზოგიერთი აზრი, გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებანი ვენაში პრეზიდენტ კენედისთან ჩემი შეხვედრისა და საუბრების შესახებ.

როგორც უკვე იცით, ამ შეხვედრას წინ უძღოდა აზრთა ურთიერთგაზიარება დიპლომატიური არხების საშუალებით, აგრეთვე წერილების გაცვლა ჩემსა და შეერთებული შტატების პრეზიდენტს შორის. ჩვენ შევთანხმდით შეხვედრის შესახებ, რომელიც სწორედ მოხდა ვენაში 3 და 4 ივნისს. ეს შეხვედრა იყო კარგი შესაძლებლობა პირველი პირადი კონტაქტისა და აზრთა გაზიარებისათვის ძირითად პრობლემებზე ჩემსა, როგორც საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა, და ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტს შორის.

გზად ვენაში რამდენიმე დღე გავატარეთ ჩვენს ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებთან და, რა თქმა უნდა, ფრიად საფუძვლიანი საუბრები გვქონდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტთან, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პირველ მდივანთან ამხანაგ ანტონინ ნოვოტნისთან და ჩეხოსლოვაკიის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან.

მე რამდენჯერმე მომიხდა მოძმე ჩეხოსლოვაკიაში ყოფნა და მუდამ ვგრძნობდი იქ განსაკუთრებით გულთბილ, გულითად დამოკიდებულებას. ასე იყო ამჯერადაც. ყველგან გვხვდებოდნენ როგორც მახლობელ მეგობრებს, როგორც ღვიძლ ძმებს, რომლებიც დაკავშირებული არიან საერთო ინტერესებისა და მიზნების ერთობით.

ვსაუბრობდით შემთხვევით და მინდა ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას, ყველა ჩვენს ძვირფას მეგობარს — ჩეხებსა და სლოვაკებს, რომლებიც ასე გულითადად და სტუმართმოყვარულად შეგვხვდნენ, როცა ვიყავით მათს შესანიშნავ ქვეყანაში, რომელიც მტკიცედ მიდის კომუნისტური მშენებლობის გზით.

ასე დამკვიდრდა ყველა ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ურთიერთობაში, რომ ახალი, სოციალისტური სამყაროს მშენებლობის დიადმა საერთო საქმემ შეგვაკავშირა ჩვენ ყველანი, გაგვაერთიანა ერთ ბეგობრულ ოჯახად. იცავენ რა თავიანთი ხალხის ინტერესებს, ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელი მოღვაწეები ამავე დროს იცავენ სოციალისტური ქვეყნების ყველა ხალხის ინტერესებს, სოციალიზმისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დიად საქმეს.

როცა ვენაში მივდიოდით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შესახვედრად, ჩვენ, ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა იმაზე ვფიქრობდით, თუ რა გავლენას მოახდენდა ეს შეხვედრა არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობაზე, არამედ აგრეთვე სოციალისტური სამყაროს ქვეყნებისა და კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთობაზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი შეხვედრები საჭიროა, იმიტომ რომ თანამედროვე პირობებში საკითხები, რომლებიც ვერ გადაიჭრება ჩვეულებრივი დიპლომატიური გზით, დაბეჯითებით მოითხოვენ მთავრობათა მეთაურების შეხვედრას. ასეთი შეხვედრები საჭიროა, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ მთავრობათა ეს მეთაურები გულწრფელად ესწრაფვიან სახელმწიფოთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფას. ჩვენი მხრივ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რაც კი ძალგვიძს, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში კარდინალური საკითხების გადაჭრისათვის.

ვიდრე შევეხები კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც განხილული იყო შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჩვენი საუბრების დროს, მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ავსტრიის ფედერალურ პრეზიდენტს ბ-ნ შერფს, ფედერალურ კანცლერს ბ-ნ გორბახს, ვიცე-კანცლერს ბ-ნ პიტერმანს იმ ხელშეწყობისათვის, რომელიც მათ გაგვიწიეს, რომ ვენის შეხვედრა მოწყობილიყო ორივე მხარისათვის უაღრესად ხელსაყრელ პირობებში. ჩვენ მადლობელი ვართ საუცხოო ვენის მცხოვრებლებისა კეთილი, გულითადი დამოკიდებულებისათვის ჩვენდამი, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისადმი.

ახლა კი, ძვირფასო ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ჩვენი თვალსაზრისი იმ საკითხების შესახებ, რომლებიც განვიხილეთ მე და პრეზიდენტმა კენედიმ. მინდა გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება იმაზე, თუ, ჩვენი აზრით, როგორ უნდა გადაიჭრას საუკეთესოდ ის სადავო ან გადაუჭრელი პრობლემები სახელმწიფოთა ურთიერთობაში, რომლებიც მომწიფდა, შეიძლება ითქვას, კიდევაც გადამწიფდა და დაბეჯითებით მოითხოვენ გადაჭრას.

ერთ-ერთი ასეთი მთავარი, კარდინალური საკითხია საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი.

კარგად ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის განიარაღების საკითხის გადაჭრისათვის. საბჭოთა სახელმწიფო ამ საკითხს მთელი მსოფლიოს წინაშე აყენებს ათეული წლების მანძილზე. გაგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 1922 წელს გენუის კონფერენციაზე საბჭოთა კავშირმა დიდი ლენინის ინიციატივით შეიტანა წინადადება განხორციელებულიყო საყოველთაო და სრული განიარაღება. 1927 წელს ეს საკითხი დავსვით ერთა ლიგის წინაშე. მაშინ ვერ შევძელით მიგვეღწია ამ პრობლემის გადაჭრისათვის და იმპერიალისტებმა შემდეგში გააჩაღეს მსოფლიო ომი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც ამდენი მწუხარება და უბედურება მოუტანა ხალხებს, ჩვენ გაორკეცებული ენერგიით ვიბრძვით განიარაღების პრობლემის უსწრაფესად გადაჭრისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და მის გარეთ ჩვენ ვიყენებთ ყოველ შესაძლებლობას, რათა მივაღწიოთ განიარაღების პრობლემის დადებითად გადაჭრას და აღმოვფხვრათ ახალი მსოფლიო ომის საფრთხე.

საბჭოთა კავშირი მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომური ენერგიის კომისიის მუშაობაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშავებინა შეთანხმება ატომგულის იარაღის აკრძალვის შესახებ. ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხთა კომისიაშიც. 1950 წლიდან, როცა შეიქმნა განიარაღების გაერთიანებული კომისია, საბჭოთა კავშირი აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში. ოთხ წელიწადს ლონდონსა და ნიუ-იორკში სხდომები ჰქონდათ ჩვენს წარმომადგენლებს ამ კომისიის ქვეკომიტეტში. შეტანილ იქნა ბევრი წინადადება, ბევრი სიტყვა მოისმინეს, მაგრამ განიარაღების პრობლემის გადაჭრა ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ.

შარშან ჟენევაში შეიკრიბა 10 სახელმწიფოს კომიტეტი განიარაღების საკითხებზე უკვე სხვა შემადგენლობით, ვიდრე წინანდელი ორგანოები. იქ წარმოდგენილი იყო 5 სოციალისტური სახელმწიფო და 5 დასავლეთის სახელმწიფო. მაგრამ იმან, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არა სურთ დათანხმდნენ განიარაღებაზე, ის გამოიწვია, რომ ამ კომიტეტშიც ვერ იქნა მიღებული რაიმე დადებითი შედეგი.

ამბობენ, განიარაღების კომისიებსა და ქვეკომიტეტებში დაწერილი ქაღალდის მთელი გროვა ჟენევის ტბაში რომ ჩაყარონ, ტბა ნაპირებს გადმოლახავსო. ქაღალდი ბევრი დახარჯეს, მაგრამ განიარაღების პრობლემის რეალურ გადაჭრას ვერ მიუახლოვდნენ.

იბადება კითხვა, მაშ ყველა ამ კომისიამ და ქვეკომიტეტმა რატომ ვერ მიაღწია წარმატებას თავის საქმიანობაში? იმიტომ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ამკარად არ იყვნენ მზად სერიოზული მოლაპარაკებისათვის, არა სურდათ და, გულახდილად რომ ვთქვათ, დღემდე არა სურთ განიარაღება. გასაგებია, რომ ასეთ პოზიციას ვერც ერთი მთავრობა აშკარად ვერ დაადგება ხალხთა დასანახავად! დასავლეთის სახელმწიფოებს ეშინოთ პირდაპირ და პატიოსნად უთხრან საზოგადოებრიობას, რომ არა სურთ საქმიანი მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან განიარაღების საკითხებზე.

კაპიტალისტური მონოპოლიები მდიდრდებიან გამალებული შეიარაღებით და დაინტერესებული არიან მისი განგრძობით. მაგრამ ყოველივე ამის დასაფარავად მათ, ცხადია, ესაჭიროებათ თუნდაც მოჩვენებითი მოლაპარაკება. აი მათაც აირჩიეს დიპლომატიური მიდგომა: პირდაპირ უარს არ ამბობენ მოლაპარაკებაზე, მაგრამ ამავე დროს არ ეთანხმებიან კონკრეტულ წინადადებებს განიარაღების შესახებ. ისინი, როგორც იტყვიან, აჭიანურებენ საქმეს. უკვე მთელი სისტემაა შემუშავებული, თუ როგორ შეუშალონ ხელი მიზნის მიღწევას და ნამდვილად მოაქციონ ჩიხში განიარაღების საქმე.

წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომლებიც საბჭოთა მთავრობის დავალებით მე შევიტანე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად, კარგ საფუძველს წარმოადგენენ განიარაღების პრობლემის გადასაჭრელად. თუ ჩვენი ეს წინადადებანი მიიღეს, ხალხები სამუდამოდ განთავისუფლდებიან გამალებული შეიარაღების მძიმე ტვირთისაგან, გამანადგურებელი რაკეტულ-ატომური ომის საფრთხისაგან. ჩვენ განვაცხადეთ, და ამას კატეგორიულად ვიმეორებ ახლაც, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოები დათანხმდებიან საყოველთაო და სრულ განიარაღებაზე. საბჭოთა კავშირი მზად არის მიიღოს კონტროლის ყოველი სისტემა, რომლის წამოყენებასაც ისინი მოისურვებენ.

ამის მიუხედავად დასავლეთის სახელმწიფოები ამტკიცებენ, თითქოს განიარაღების შესახებ შეთანხმებას ხელს უშლიდეს საბჭოთა კავშირის პოზიცია კონტროლის საკითხებში, თითქოს ისინი ვერა და ვერ შეთანხმებულან ჩვენთან ამ საკითხებზე.

ერთხელ კიდევ ვიმეორებ: საბჭოთა კავშირი მტკიცე და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის მომხრეა. ჩვენ მზად ვართ დავეთანხმოთ თქვენს წინადადებებს კონტროლის შესახებ. ბ-ნო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტო, მაგრამ დაეთანხმეთ ჩვენს წინადადებებსაც საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. და მაშინ არ იქნება არავითარი ჩიხი განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაში.

ჩვენ გვინდა პატიოსანი განიარაღება, გვინდა უზრუნველვყოთ თანაბარი პირობები ყველა სახელმწიფოსათვის, როცა განიარაღება მოხდება, რათა ვერავინ და ვერასოდეს ვერ გამოიყენოს განიარაღება იმისათვის, რომ თვითონ მიიღოს სარგებლობა სხვა ქვეყნების უშიშროების საზიანოდ. ჩვენი წინადადებანი მკაცრ კონტროლს ითვალისწინებენ განიარაღების შესახებ შეთანხმების განხორციელების თვითეულ ეტაპზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ სრული განიარაღება განხორციელდა, საჭირო იქნება უაღრესად ზედმიწევნითი კონტროლი. კონტროლის ორგანოებს უნდა შეეძლოთ ყველგან მისვლა ისე, რომ არ უნდა იყოს ეგრეთწოდებული ვეტო, არ იყოს რაიმე აკრძალვა, არ იყოს რაიმე შეზღუდვა. ასეთი გაცნობა შესაძლებელი უნდა იყოს ყოველ დროსა და ყოველ ადგილას. და ჩვენ მზადა ვართ უზრუნველვყოთ ეს საკონტროლო ორგანოებისათვის. მხოლოდ მტკიცე კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების პირობებში შეიძლება მივაღწიოთ ნდობას და შეიძლება ნამდვილად შევქმნათ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ისეთი პირობები, როცა ვერცერთი ქვეყანა ან ქვეყანათა ჯგუფი ვერ შეძლებდა ფარულად შეიარაღებულიყო სხვა ქვეყნებზე თავდასასხმელად.

ასეთია ჩვენი თვალსაზრისი. ამაზე უფრო ნათელი რა განცხადება უნდა გავაკეთოთ, რათა დასავლეთის წარმომადგენლებმა აღარ გაიმეორონ, საბჭოთა კავშირი კონტროლს არ ეთანხმებაო!

ყველა მონაჭორი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს თითქოს არ სურდეს კონტროლი, მხოლოდ ერთ რამეს გვიჩვენებს — იმას, თუ ეგრეთწოდებულ თავისუფალ სამყაროში რა თავისუფლად ატყუებენ ადამიანებს. მაგრამ ჩვენ ნებას ვერ ვაძლევთ, ეს ადამიანები, ჩვენ ამ სამყარო, სოციალისტური ქვეყნების სამყარო, ჩინებულად არის ინფორმირებული და იცის, რომ ჩვენ ქმედითი კონტროლის მომხრენი ვართ. „თავისუფალ სამყაროში“ კი, „თავისუფალი ინფორმაციის დროს“ შეუძლიათ თავისუფლად ატყუონ საზოგადოება და, იმეორებენ აშკარა ყალბ მტკიცებას, რათა ადამიანები შეცდომაში შეიყვანონ.

19 ივნისს ვაშინგტონში სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიწყება მოლაპარაკება განიარაღების საკითხებზე. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ამჯერად ჩვენ, ბოლოს, დავინახავთ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტრუქციულ მიდგომას.

ახლა მინდა შევეხო მეორე საკითხს, რომელზეც აზრები გავუზიარეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედის ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

თითქმის სამი წელია ჩვენ ჟენევაში ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან ამ საკითხზე. მოლაპარაკების დასაწყისშივე ჩვენ დასავლეთის სახელმწიფოთა განსახილველად შევიტანეთ ხელშეკრულების პროექტი, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი შეესაბამება მოლაპარაკების ყველა მონაწილის ინტერესებს და რომ მოლაპარაკების მსვლელობაში ჩვენ ანგარიში გავუწიეთ დასავლეთის სახელმწიფოთა მთელ რიგ სურვილებს, მოლაპარაკებამ არ მოგვცა რაიმე კონკრეტული შედეგი.

ახლა წარმოიშვა ახალი სიძნელეები. დასავლეთის სახელმწიფოები გადაჭრით ამბობენ უარს მიიღონ ჩვენი წინადადება კონტროლის ფორმების შესახებ.

რა არის ჩვენი წინადადების არსი? ნება მიბოძეთ მოკლედ გავაშუქო იგი. თავდაპირველად ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნდა დავთანხმებულიყავით დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებაზე იმის შესახებ, რომ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი კონტროლის სისტემის აღმასრულებელ ორგანოს მეთაურობდეს ერთი კაცი, რომელიც დაინიშნება მხარეთა შეთანხმებით. მაგრამ კონგოს ამბებმა მოითხოვა ჩვენი დაძაბული ყურადღება, როგორც იტყვიან, ჭკუა გვასწავლა. კონგოს რესპუბლიკის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სთხოვა დახმარება ბელგიელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ცდილობდნენ დაებრუნებინათ თავიანთი კოლონიური ბატონობა ამ ქვეყანაში. უშიშროების საბჭომ და გენერალურმა ასამბლეამ ამასთან დაკავშირებით მიიღეს რამდენიმე არც თუ ცუდი გადაწყვეტილება. მაგრამ რა მოხდა შემდეგ?

ბ-ნი ჰამარშელდი, რომელსაც თავი ნეიტრალურ ადამიანად მოაქვს და სარგებლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მდგომარეობით, უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის ამ გადაწყვეტილებებს კოლონიზატორთა საამებლად განმარტავდა და ახორციელებდა. განა ამას არ მოწმობს კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას — სწორედ იმ მთავრობის მეთაურის საზიზღარი მკვლელობა, რომელმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებს დახმარება სთხოვა კოლონიზატორთა თარეშის წინააღმდეგ? კონგოელი ხალხის ტრაგედიამ ცხადყო, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოს თვითნებობას ერთპიროვნული გენერალური მდივნის სახით. საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ არ დავუშვათ მსგავსი მოქმედების განმეორება. ამას მოითხოვს ხალხთა ინტერესები, მშვიდობის შენარჩუნების ინტერესები.

სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობა მტკიცედ დარწმუნდა, რომ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების შესრულებისადმი კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფოთა სამი არსებული ჯგუფის — სოციალისტური ქვეყნების, დასავლეთის სამხედრო ბლოკების მონაწილე ქვეყნების და იმ ქვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც ნეიტრალურ პოლიტიკას ახორციელებენ. ამასთან სახელმწიფოთა ამ ჯგუფების წარმომადგენლებს შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ შეთანხმებული გადაწყვეტილებანი.

საბჭოთა კავშირი არ მოითხოვდა და არ მოითხოვს თავისთვის განსაკუთრებულ მდგომარეობას. ჩვენ არ გვინდა ბატონობა საკონტროლო კომისიაში, მაგრამ არც არავის მივცემთ ნებას, რომ ჩვენზე იბატონოს. ჩვენ მოვითხოვთ ზუსტად ისეთსავე უფლებებს, როგორიც ექნებათ ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს. ჩვენ ვეს წრაფვით იმას, რომ მდგომარეობა ბოროტად არ გამოიყენოს საკონტროლო ორგანიზაციამ.

რაღა სურთ დასავლეთის სახელმწიფოებს? მათ სურთ ხელშეკრულების ერთპიროვნული განმმარტებლისა და აღმასრულებლის სახით თავს მოგვახვიონ რომელიღაც „ნეიტრალური ადამიანი“, სურთ ამ პოსტზე შემოგვაჩეჩონ რომელიღაც ახალი ჰამარშელდი, რომელიც უნდა განაგებდეს კონტროლს ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო თუ გულახდილად ვიტყვით, — მათ სურთ, რომ ასეთი ადამიანი საშუალებას აძლევდეთ დაუბრკოლებლად აწარმოონ დაზვერვა ჩვენს ტერიტორიაზე დასავლეთის ინტერესებისათვის. ამას, რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ და არასოდეს არ დავეთანხმებით, რამდენადაც საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის უშიშროებას.

ყველასათვის, რა თქმა უნდა, ცხადია, რომ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტა თავისთავად ვერ აგვაცილებდა თავიდან რაკეტულ-ატომურ ომს. შეიძლება ავკრძალოთ ატომური იარაღის გამოცდის წარმოება, მაგრამ ამ იარაღის არსებული მარაგი ხომ რჩება, მისი წარმოება გაგრძელდება და, მაშასადამე, გაგრძელდება მისი დაგროვებაც. ამრიგად, რაკეტულ-ატომური ომის საფრთხე სულ უფრო გაიზრდება. სავსებით ცხადია, რომ მხოლოდ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტა ვერ იქნებოდა რაღაც კაშხალი, რომელიც გზას გადაუღობავდა გამალებულ შეიარაღებას.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ჟენევის მოლაპარაკებაზე ძნელია შეთანხმების მიღწევა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ იმ პოზიციის გამო, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებმა დაიკავეს.

მთავარი ახლა ის არის, რომ დაუყოვნებლივ გადავჭრათ საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი. ჩვენ განვუცხადეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს: მოდით ურთიერთდაკავშირებით გადავჭრათ ორივე პრობლემა — ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემა და საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემა. მაშინ უფრო ადვილი იქნება შეთანხმება საკონტროლო აღმასრულებელი ორგანოს შექმნის შესახებაც. საყოველთაო და სრული განიარაღების პირობებში სახელმწიფოთა უშიშროების საკითხი სხვაგვარად დადგება: არ იქნება არმიები და არ იქნება სახელმწიფოთა ერთიმეორეზე თავდასხმის საფრთხე. ასეთ პირობებში საბჭოთა მთავრობა მზად იქნება მიიღოს დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადება კონტროლის შესახებ.

ჩვენ თანახმა ვიქნებით, რომ კონტროლის სისტემა ითვალისწინებდეს კონტროლს ისე, რომ მას სრულიად არ ზღუდავდეს რომელიმე მხარე, მათ შორის ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება კონტროლი. მაშინ აღარ იქნება არავითარი საფრთხე, რომ კონტროლი შეიძლება გამოიყენონ, რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ დაზვერვის მიზნით. ეს ლოგიკურიც არის, რადგან თუ არ იქნება არმიები, არ იქნება გამალებული შეიარაღება, სახელმწიფოებს არ ექნებათ არავითარი სამხედრო საიდუმლოება, და მაშინ დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები შეძლებენ შევიდნენ ყოველ კარში, ყოველ ქარხანაში ან ინსტიტუტში ჩვენს ქვეყანაში ისევე, როგორც ჩვენი წარმომადგენლები მათს ქვეყნებში.

ვითვალისწინებთ რა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესაძლებლობებს იმ პირობებში, როცა არ არის შეთანხმება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, არ შეიძლება უგულებელვყოთ ასეთი დიდმნიშვნელოვანი გარემოებაც. მაშინ როცა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკება წარმოებს სამ სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, საფრანგეთი აწარმოებს ატომური იარაღის გამოცდებს და ყურადღებას არ აქცევს მსოფლიო საზოგადოებრიობისა და მთავრობათა პროტესტებს, უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალგზის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მოუწოდებენ სახელმწიფოებს თავი შეიკავონ ასეთი გამოცდებისაგან. იქმნება უცნაური მდგომარეობა: ჩვენ ვეძებთ შეთანხმებას დასავლეთის სახელმწიფოებთან ჟენევაში, ხოლო დასავლეთის ამ სახელმწიფოთა მოკავშირე საფრანგეთი განაგრძობს ატომური იარაღის გამოცდას და აცხადებს, ჟენევის მოლაპარაკება არავითარ ვალდებულებას არ ადაკისრებსო. მაშასადამე, საფრანგეთს, ნატოს მონაწილეს, იმ აგრესიული სამხედრო ბლოკის მონაწილეს, რომელიც არ მალავს, რომ მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, შესაძლებლობა აქვს სრულყოს ატომური იარაღი თავისი დასავლეთელი მოკავშირეების ინტერესებისათვის.

გარდა ამისა, ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ საფრანგეთის მაგალითს შეიძლება მიბაძონ სხვა ქვეყნებმაც, როცა მათაც ექნებათ შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური შესაძლებლობანი.

რასაკვირველია, შეიძლება გავიგოთ დასავლეთის იმ სახელმწიფოთა თავისებური ლოგიკა, რომლებსაც, როგორც ჩანს, არა აქვთ ამ ბლოკებში თავიანთ მოკავშირეთა იმედი და სურთ უზრუნველყონ თავიანთი დამოუკიდებლობა, რისთვისაც ემყარებიან საკუთარ ატომურ იარაღს. მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტი გენერალი დე გოლი ამბობს, მინდა მქონდეს ჩემი ატომური იარაღი, რათა საფრანგეთს შეეძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკა განახორციელოსო. მაგრამ სხვა ქვეყნებსაც, რომლებიც დასავლეთის სამხედრო ბლოკების ქსელში აღმოჩნდნენ, შეუძლიათ განაცხადონ, რომ არა სურთ ენდონ ატომური გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას იმ პირობებში, როცა სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ ატომგულის იარაღი, შეთანხმების ხელმოწერის შემდეგაც შეინარჩუნებენ მას. ისინი, როგორც ჩანს, აგრეთვე გაიმეორებენ არგუმენტაციას, რომელსაც ახლა იყენებს საფრანგეთი, იმ მიზნით, რომ გაამართლონ გამოცდის განხორციელება, შექმნან საკუთარი ატომური იარაღი და შევიდნენ ეგრეთწოდებულ „ატომურ კლუბში“.

ეს, რასაკვირველია, ლოგიკაა, რომელიც ზიანს აყენებს მშვიდობის საქმეს. ასეთი ლოგიკით შეუძლიათ ისარგებლონ და უკვე სარგებლობენ დასავლეთის ის წრეები, რომლებსაც არა სურთ ხელი აიღონ ატომურ იარაღზე და კვლავ იმედს ამყარებენ მასობრივი მოსპობის ამ იარაღზე.

ყოველივე ეს ჩვენ მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ უნდა გავაერთიანოთ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაჭრა და საყოველთაო და სრული განიარაღების ამოცანა. როგორც ჩანს, შექმნილ პირობებში სხვა გამოსავლის გამონახვა შეუძლებელია.

პრეზიდენტთან აზრთა ურთიერთგაზიარების მსვლელობაშ დაწერილებით ჩამოვაყალიბეთ ჩვენ თვალსაზრისი საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემებისა და ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის ურთიერთ დაკავშირებული გადაჭრის შესახებ. ჩვენ გვინდა, რომ ამერიკის მთავრობამ სწორად გაიგოს ჩვენი თვალსაზრისი. ეს ხელს შეუწყობდა იმას, რომ გამოგვენახა შეთანხმების მიღწევის საფუძველი.

ხალხები მოელიან, რომ მთავრობები დაიჩქარებენ საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხის გადაჭრას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა. ამიტომ მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობა იმაღლებს ხმას და მოითხოვს, რომ იმ მთავრობებმა, რომლებიც არ იჩენენ ინტერესს ამ პრობლემის გადაჭრისადმი, შეწყვიტონ მოლაპარაკების საბოტაჟი და გაჭიანურება, გამოიყენონ განიარაღების პრობლემა ფუჭი კამათის ლაბირინთიდან, რომელშიც იგი უკვე მრავალი წელია იმყოფება.

ნება მიბოძეთ ახლა შევეხო გერმანიის საკითხს, რომელმაც დიდი ადგილი დაიკავა პრეზიდენტ კენედისთან ჩვენს საუბრებში.

საბჭოთა მთავრობას არაერთხელ ჩამოუყალიბებია თავისი პოზიცია ამ საკითხზე. დასავლეთის სახელმწიფოები ვერ დაგვემდურებიან, რომ ჩვენი წინადადებანი მათთვის საკმაოდ ცნობილი არ არის. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობდით და ვხმარობთ იმისათვის, რომ დავარწმუნოთ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სხვა იმ ქვეყნების მთავრობები, რომლებიც ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების უქონლობამ არანორმალური და საშიში მდგომარეობა შექმნა ევროპაში.

ყოველთვის აღიარებული იყო, რომ ომის დამთავრების შემდეგ სახელმწიფოთა შორის უნდა დადებულიყო საზავო ხელშეკრულება. ეს უკვე ჩვეულებად და, თუ გნებავთ, საერთაშორისო სამართლის ნორმად გადაიქცა. ამის მაგალითები შეიძლება ვნახოთ საერთაშორისო პრაქტიკაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც. 14 წელიწადზე მეტი ხნის წინათ დადებულ იქნა საზავო ხელშეკრულებანი იტალიასთან და სხვა სახელმწიფოებთან, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის მხარეზე ომობდნენ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და სხვა

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(გაგრძელება)

ქვეყნებმა 1951 წელს დადეს საზავო ხელშეკრულება იაპონიასთან. მაგრამ იმავე ქვეყნების მთავრობებს გაგონებაც არა სურთ, რომ დაიდოს ზავი გერმანიასთან.

საკითხავია, შეიძლება თუ არა კვლავაც დარჩეს ასეთი მდგომარეობა? ევროპის ხალხები ხომ მეტისმეტად არიან დაინტერესებულნი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებით. მას დიდი ხანია მოელიან პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის მეზობელ ყველა სხვა სახელმწიფოთა ხალხები. ეს ხელშეკრულება სჭირდება ორივე გერმანულ სახელმწიფოს: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. ამ სახელმწიფოთა მოსახლეობა ცხოვრობს იმ იმედით, რომ, ბოლოს, მეორე მსოფლიო ომს დამთავრება ეღირსება და გერმანელი ხალხი მეზობელ ხალხებთან თავის ურთიერთობას ურთიერთნდობის საფუძველზე ააგებს.

საკითხი თითქოს ნათელია. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება აუცილებელია. ამასთან, გასაგებია, ლაპარაკიც ზედმეტია საზღვრების რაიმე ახალ ცვლილებაზე. ჩვენ ვემყარებით იმას, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება აღნუსხავს იმას, რაც უკვე განსაზღვრა პოტსდამის შეთანხმებამ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ საბოლოოდ მიიჩნია ამ შეთანხმებებით გერმანიის აღმოსავლეთი საზღვარი ოდერ-ნოისეს ხაზზე და მიიჩნია იგი მშვიდობის საზღვრად გერმანელ და პოლონელ ხალხებს შორის.

ალბათ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებსაც ესმით. თუ რაოდენ უაზროა ახლა გერმანიის საზღვრების შეცვლის საკითხის წამოყენება. მათს წარმომადგენლებს ჩვენთან საუბარში არაერთხელ განუცხადებიათ ეს. ხოლო საფრანგეთის პრეზიდენტმა გენერალმა დე გოლმა საჯაროდ დაუჭირა მხარი იმას. რომ გერმანელმა ხალხმა „საეჭვო არ გახადოს ახლანდელი საზღვრები დასავლეთში, აღმოსავლეთში, ჩრდილოეთსა და სამხრეთში“. თვით კანცლერმა ადენაუერმაც, „ცივი ომის“ ამ ქადაგმა და სახელმწიფოთა შორის ვნებათაღელვის გაღვივების სპეციალისტმა, განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ ისწრაფვის შეცვალოს საზღვრები ომის გზით, ძალის გზით.

საკითხავია, მაშ რატომ არ უნდა დაიდოს საზავო ხელშეკრულება, თუ ყველასათვის ცხადია, რომ გერმანიის ახლანდელი საზღვრები არ შეიძლება შეიცვალოს უომოდ, ომი კი, როგორც დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები აცხადებენ, მათ არა სურთ.

თითქოს მარტივი ოპერაციაა — განვამტკიცოთ ის, რაც ფაქტიურად არსებობს და ის, რასაც უკვე დიდი ხანია მოითხოვენ ხალხები. მაშ რა უშლით ხელს დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს, გადადგან ეს ნაბიჯი?

როგორც ჩანს, მიზეზი ის არის, რომ ზოგი ვინმე სიტყვით ლაპარაკობს მშვიდობაზე, საქმით კი სურს შეინარჩუნოს მბეჟუტავი მუგუზალი, რაც მეორე მსოფლიო ომის დროიდან დარჩა, რათა შეარჩიოს ხელსაყრელი მომენტი და გაჩაღოს ახალი ომის ხანძარი. სწორედ ამისათვის იქმნება სულ ახალი და ახალი დივიზიები დასავლეთ გერმანიაში, კანცლერი ადენაუერი კი მოითხოვს ატომურ იარაღს თავისი არმიისათვის. რისთვის ხორციელდება ყოველივე ეს? იმის შესანარჩუნებლად, რაც დღეს მოეპოვება დასავლეთ გერმანიას, ხომ არც დიდი არმია, არც ატომური იარაღი საჭირო არაა. მაგრამ იქ არიან ძალები, რომლებსაც ჯერ კიდევ თვალი უჭირავთ სხვის ქონებაზე და ვერ შერიგებიან არსებულ საზღვრებს. რას ნიშნავს ის ცდა, რომ შეიცვალოს საზღვრები ახლანდელ პირობებში? ეს ომია და ამასთან თერმოატომური ომი.

ამიტომ გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების მოწინააღმდეგეთა პოზიცია არ შეიძლება არ აშფოთებდეს ხალხებს. მათ უფლება აქვთ თქვან: თუ თქვენ მშვიდობის მომხრენი ხართ. საქმით დაამტკიცეთ ეს — ხელი მოაწერეთ საზავო ხელშეკრულებას და თქვენი პოლიტიკა ამის შესაბამისად განახორციელეთ.

ჩემთან საუბრების დროს პრეზიდენტი კენედი, სხვათა შორის, ისევე როგორც დასავლეთის ქვეყნების სხვა წარმომადგენელნი, იმას იმიზეზებდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს რაღაც ვალდებულებანი აქვთ დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთა წინაშე და ამ ვალდებულებებს გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებაც კი ვერ შეეხება. მაგრამ ბუნებრივია დაისვას კითხვა, რა ვალდებულებათა შენარჩუნებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, თუ ყველა ვალდებულება გამომდინარეობს ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციის ფაქტიდან და მოკავშირეთა დროებითი შეთანხმებებიდან და, მაშასადამე, შეიძლება ძალა ჰქონდეთ მხოლოდ საზავო ხელშეკრულების დადებამდე. ამასთანავე საერთოდ არ არსებობს მოკავშირეთა განსაკუთრებული ვალდებულებანი დასავლეთ ბერლინის მიმართ. მოკავშირეთა ვალდებულებანი ეხებოდა გერმანიის მთელ ტერიტორიას, და სწორედ ეს შეთანხმებანი უხეშად დაარღვიეს დასავლეთის სახელმწიფოებმა. მათ დასავლეთი გერმანია გადააქციეს მილიტარისტულ სახელმწიფოდ, შექმნეს ჩვენს წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ბლოკი, და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა პირველხარისხოვან როლს ასრულებს ამ ბლოკში. გენერლებს, რომლებიც ჰიტლერულ ჯარებს სარდლობდნენ, მხეცობას სჩადიოდნენ საბჭოთა კავშირში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ალბანეთში, იუგოსლავიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ბელგიაში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში. ახლა საკომანდო მდგომარეობა უჭირავთ ნატოში.

ყოველთვის ისე იყო, რომ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ კაპიტულაციის პირობები ძალას კარგავენ მთელ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება ეს ხელშეკრულება და მთელი ტერიტორია თავისუფლდება საოკუპაციო წესებისაგან. ამიტომ დასავლეთი ბერლინი, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს, საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ განთავისუფლდება ყველა პირობისაგან, რომლებიც დაწესებულია ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციასთან და იქ საოკუპაციო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით.

უნდა ითქვას, რომ, როცა საქმე ეხება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებას, და, მაშასადამე, დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციასაც, დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები ხშირად სცილდებიან იურიდიულ ნიადაგს და მიმართავენ პრესტიჟის მოსაზრებებს. მაგრამ ვერც ასეთი ცდები უძლებს კრიტიკას. მინდა საბოლოოდ ახალი მაგალითი დავიმოწმო.

ჩვენ და ამერიკის შეერთებული შტატები ერთად ვიომებდით იაპონიის. ჩვენი ხალხები ერთად ღვრიდნენ სისხლს. საბჭოთა არმიამ გაანადგურა იაპონიის ჯარების ძირითადი ბირთვი — კვანტუნის არმია მანჯურიაში. საბჭოთა კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა სახელმწიფოებთან ერთად, რომლებიც იაპონიის წინააღმდეგ ომობდნენ. მონაწილეობდა იაპონიის ომისშემდგომი განვითარების საკონტროლო ღონისძიებათა შემუშავებაში. შეიქმნა შორეული აღმოსავლეთის კომისია ვაშინგტონში და სამოკავშირეო საბჭო იაპონიისათვის, რომელიც ტოკიოში იყო. საბჭოთა წარმომადგენლები ამ ორგანოში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თანასწორუფლებიან საფუძველზე.

მაგრამ აი საქმე იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადებაზე მიდგა. ჩვენმა მოკავშირეებმა ანგარიში არ გაუწიეს საბჭოთა კავშირის აზრს და ხელი მოაწერეს სეპარატულ ხელშეკრულებას იაპონიასთან. არ შეეხები, თუ რა მოტივები განსაზღვრავდნენ საბჭოთა კავშირის პოზიციას იმ დროს იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხში, რადგან ახლა საქმე სხვა რამეს ეხება, სახელდობრ იმას, თუ როგორ მოექცნენ ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ მოკავშირეს ამ შემთხვევაში. მათ ცალმხრივი წესით გააუქმეს სამოკავშირეო საბჭო იაპონიისათვის და წაართვეს საბჭოთა წარმომადგენლებს ყოველივარი უფლება. ჩვენი წარმომადგენლობი არსებითად ცასა და დედამიწას შუა აღმოჩნდნენ; მათ ყოველნაირად აძევებდნენ ტოკიოდან.

ჩვენ კი გარკვეული უფლებანი და ვალდებულებანი გვქონდა. რომლებიც გამომდინარეობდნენ იაპონიის კაპიტულაციის ფაქტიდან და აღნიშნული იყო საერთაშორისო შეთანხმებებში. როგორც ვხედავთ, ამერიკელებმა მაშინ ანგარიში არ გაუწიეს არც საბჭოთა კავშირის უფლებებს, არც საერთაშორისო შეთანხმებებს. ისინი, ემყარებოდნენ რა იმას, რომ ჰქონდათ ატომური იარაღის უპირატესობა, ცდილობდნენ თავიანთი პირობები ეკარნახათ არა მარტო დამარცხებული იაპონიისათვის, არამედ თავიანთი მოკავშირეებისთვისაც იაპონიის წინააღმდეგ ომში.

ორ წელიწადზე მეტი ხნის წინათ ჩვენ გამოვაქვეყნეთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ჩვენი პროექტი. იქ არაფერია ისეთი, რაც ბღალავდეს ჩვენი ყოფილი მოკავშირეების, ისევე როგორც თვითონ გერმანელების, ინტერესებს.

საბჭოთა კავშირს, რომელმაც ბევრად მეტი მსხვერპლი გაიღო, ვიდრე ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა დანარჩენმა მოკავშირემ ერთად, შეაქვს წინადადება ხელი მოაწერონ საზავო ხელშეკრულებას, რათა მოხდეს ევროპაში ვითარების ნორმალიზაცია, ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან ურთიერთობის ნორმალიზაცია. შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს კი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ერთად არა სურთ ხელი მოაწერონ საზავო ხელშეკრულებას, ისწრაფვიან შეინარჩუნონ გაურკვეველი და საშიში მდგომარეობა. ისინი უარს ამბობენ იმაზე, რომ წარსული ომის ნაშთების ლიკვიდაცია მოხდეს საზავო ხელშეკრულების დადების გზით და მოითხოვენ საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნებასა და თავიანთი ჯარების დატოვებას დასავლეთ ბერლინში.

ყოველი ადამიანი, თუ მას საღი გონება არ დაუკარგავს, ხედავს და ესმის, რომ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერა არის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესების გზა. საზავო ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა, დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის სამუდამოდ დამკვიდრება მიზნად ისახავს „ცივი ომის“ განგრძობას, ხოლო ვინ იტყვის, სად არის ის ზღვარი, რომელსაც შეუძლია „ცივი ომი“ გაჰყოს ომისაგან ამ სიტყვის ნამდვილი აზრით? განა ცხადი არ არის, რომ „ცივი ომი“ მზადებაა, ძალების დაგროვებაა ომისათვის.

მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ყველამ გაიგოს, რა სერიოზულ საფრთხესთან არის დაკავშირებული გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების შემდგომი გაჭიანურება.

როცა ჩვენ შემოგვაქვს წინადადება დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და დასავლეთი ბერლინი გახდეს თავისუფალი ქალაქი, ჩვენ ბრალად გვდებენ იმას, თითქოს გვსურს დასავლეთის სახელმწიფოებს წავართვათ ამ ქალაქში შესვლის უფლება. მაგრამ ეს არასწორი, უსაფუძვლო მოსაზრებაა. დასავლეთ ბერლინისათვის თავისუფალი ქალაქის სტატუსის მინიჭება ნიშნავს იმას, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანას, რომელსაც სურს ეკონომიური და კულტურული კავშირი იქონიოს ამ ქალაქთან, ექნება უფლება და შესაძლებლობა დაუბრკოლებლად განახორციელოს ეს კავშირი. რა თქმა უნდა, ამავე დროს საჭირო იქნება შეთანხმება იმ ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიაზე გადის დასავლეთ ბერლინის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი კომუნიკაციები. ეს ნორმალურია. უამისოდ საფრთხე შეექმნება იმ სახელმწიფოს სუვერენიტეტს, რომელშიც მდებარეობს დასავლეთი ბერლინი.

დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები ამტკიცებენ, რომ მათ პირობა დადეს დაიცვან დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის თავისუფლება და კეთილდღეობა. მართალია, ოთხმხრივ შეთანხმებებში, რომლებიც ბერლინს ეხება, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ამ ვალდებულებებზე არაფერია ნათქვამი. დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთა თავისუფლების უზრუნველყოფის თვით იდეა ვერავის რაიმე წინააღმდეგობას ვერ გამოიწვევს. სწორედ თვით საბჭოთა კავშირის წინადადებაა, რომ პოლიტიკური და სოციალური რეჟიმი დასავლეთ ბერლინში ისეთი იყოს, როგორიც სურთ ჰქონდეთ მის მცხოვრებლებს.

მაშასადამე, არ არის დასავლეთ ბერლინის თავისუფლების არავითარი ხელყოფა, ისე როგორც არ არის დაბრკოლება ამ ქალაქში შესვლისათვის. ჩვენ ვიმეორებდით და ვიმეორებთ: საზავო ხელშეკრულება შექმნის ყველა საჭირო პირობას თავისუფალი ქალაქის დასავლეთ ბერლინის თავისუფლების უზრუნველყოფისა და გარე სამყაროსთან დასავლეთ ბერლინის შეუფერხებელი კავშირის განხორციელებისათვის.

რა თქმა უნდა, დასავლეთ ბერლინში შესვლის საკითხების გადაჭრის დროს უნდა დავიცვათ საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო ნორმები, ესე იგი იმ ქვეყნის ტერიტორიით, რომელზეც გადის შესასვლელი გზები, ვისარგებლოთ მხოლოდ მისი მთავრობის თანხმობით.

ასეთ მდგომარეობას ყველა ნორმალურად ცნობს. მაშ რატომ უნდა ჩაითვალოს არანორმალურად, თუ დასავლეთ ბერლინში ჩასვლისათვის საჭირო იქნება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანხმობა? სახმელეთო გზები დასავლეთ ბერლინში გადის მის ტერიტორიაზე, სანაოსნო გზები — ავრეთვე მის ტერიტორიაზე, საჰაერო გზები — ისევ მის ტერიტორიაზე. ამიტომ საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ქვეყნები, რომლებსაც სურთ კავშირი იქონიონ დასავლეთ ბერლინთან, უნდა შეუთანხმდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დასავლეთ ბერლინში შესვლისა და ამ ქალაქთან კავშირის წესის შესახებ.

ჩვენ არ მოვითხოვთ რაიმე არაჩვეულებრივს. ძველთაგანვე ასეა მიღებული ყველა თანასწორუფლებიან სახელმწიფოს ურთიერთობაში ასეული და შეიძლება მრავალი ასეული წლის მანძილზე. ეს წესი ჩვენ როდი გამოვიგონეთ. იგი არსებობს არა მარტო დე-ფაქტო, არამედ დე-იურე და დიდი ხანია გახდა საერთო წესი.

როცა საბჭოთა მთავრობას შემოაქვს წინადადება დაიდოს საზავო ხელშეკრულება და ამ საფუძველზე მოხდეს მდგომარეობის ნორმალიზაცია დასავლეთ ბერლინში, მას სურს მხოლოდ მშვიდობა, სურს აღმოიფხვრას სახელმწიფოთა ურთიერთობაში ყველაფერი, რაც წარმოშობს უთანხმოებას და შეიძლება გამოიწვიოს საშიში კონფლიქტი. არა სოციალისტური ქვეყნები, არამედ დასავლეთის სახელმწიფოები იგდებენ აბუჩად მსოფლიოს, როცა საღი გონების წინააღმდეგ აცხადებენ, რომ არ ცნობენ საზავო ხელშეკრულების დადებას და შეეცდებიან შეინარჩუნონ დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმი, რომელიც მათ, თურმე ნუ იტყვით, ბრძოლით მოიპოვეს. ეს არ არის მშვიდობის პოლიტიკა, ეს არის სახელმწიფოთა ურთიერთობის ყველაზე ელემენტარული ნორმების ფეხქვეშ გათელვა. ეს არის სურვილი შეინარჩუნონ უკიდურესი დაძაბულობის მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობაში და, უფრო მეტიც, ომით დამუქრება.

საბჭოთა კავშირსა და ჩვენს მეგობრებს ომი არა სურთ და არც დაიწყებენ მას. მაგრამ ისინი დაიცავენ თავიანთ სუვერენიტეტს, ისინი შეასრულებენ თავიანთ წმიდა მოვალეობას, რათა დაიცვან თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

თუ რომელიმე ქვეყანა დაარღვევს მშვიდობას და გადალახავს სხვის საზღვრებს—სახმელეთო, საჰაერო ან სამდინარო საზღვრებს, — იგი იკისრებს მთელ პასუხისმგებლობას აგრესიის შედეგებისათვის და მას ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწევა.

მსოფლიო პრესაში ქვეყნდება ბევრი გამოხმაურება პრეზიდენტ კენედისთან ჩვენი შეხვედრისა და საუბრების გამო. ამ გამოხმაურებებს შორის არის ბევრი გონივრული გამონათქვამი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, ინგლისშიც, საფრანგეთშიც, დასავლეთ გერმანიაშიც. აღარაფერს ვამბობ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებზე. მაგრამ არიან საღ გონებას მოკლებული გაბოროტებული ადამიანები, რომლებიც ილაშქრებენ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების წინააღმდეგ, მოითხოვენ ჯვაროსნულ ლაშქრობას კომუნიზმის წინააღმდეგ. ისინი აწყობენ სულ ახალ პროვოკაციებს. და შემთხვევითი როდია, რომ ვენის შეხვედრის მომენტს შეუფარდეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რევანშისტთა მრავალი შეკრების მოწყობა, რომლებზეც აგრესიული სიტყვებით გამოდიოდნენ ადენაუერი და ბონის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაციის მოწინააღმდეგეებმა წამოიწყეს ახალი დიდი პროვოკაცია დასავლეთ ბერლინში, სადაც ივნისის დამდეგიდან აწყობენ დასავლეთ გერმანიის პარლამენტის კომიტეტთა სხდომებს, ხოლო 16 ივნისს დანიშნულია ბუნდესტატის სხდომა, თუმცა დასავლეთი ბერლინი არასოდეს არ შედიოდა და არ შედის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. როგორც ჩანს, თვით დასავლეთ გერმანიაში განიცდიან „სასიცოცხლო სივრცის“ ნაკლებობას პროვოკაციული წამოწყებებისათვის.

თუ რა უგუნურებამდე შეიძლება მივიდნენ სოციალიზმის წინააღმდეგ ღვარძლით დაბრმავებული ადამიანები, ამას მოწმობს კანადა-ამერიკის საპარლამენტთაშორისო ჯგუფის განცხადება, რაც ამ დღეებში გამოქვეყნდა. ეს პარლამენტარები აფთრებივით ღმუიან, იმუქრებიან ატომგულის ომით. მათ არ უნახავთ ომი საკუთარ მიწაზე. არ ვიცი, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი პირადად ომში, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ამ მოღვაწეებს წარმოდგენილი არა აქვთ თანამედროვე თერმოატომგულის ომის ხასიათი. თუ კონფლიქტისაკენ უბიძგებენ თავიანთ ქვეყნებს, ხოლო მათთან ერთად სხვა ქვეყნებსაც. ახლა ყოველგვარი ომი, სულ ერთია ჩვეულებრივი, არაატომგულის იქნება თუ სხვა, შეიძლება გადაიზარდოს გამანადგურებელ რაკეტულ-ატომურ ომად. უგუნურებს, რომლებიც ომს ესწრაფვიან, ხალხებმა გიჟის პერანგი უნდა ჩააცვან.

ევროპის ხალხებმა იციან, თუ რა არის ომი. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ორ მსოფლიო ომში. 20 წლის წინათ საბჭოთა ხალხს თავს მოახვიეს ომი, ყველაზე მძიმე და სისხლისმღვრელი ომი ჩვენს ისტორიაში. მტერი მოუახლოვდა მოსკოვის კარიბჭეს, იგი მოვიდა ვოლგამდე, დაიკავა და ააოხრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ საბჭოთა კავშირმა გაუძლო მტრის შემოტევას და გაიმარჯვა ამ ომში. ჩვენ მივედით ბერლინში, დავსაჯეთ ისინი, ვინც ომი წამოიწყო.

ჩვენ არ გვინდა კიდევ ერთი მსოფლიო ომი — ჩვენ მშვიდობა გვინდა. საბჭოთა ხალხმა კარგი ურთიერთგაგება დაამყარა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანელებთან. საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარდა საუკეთესო ურთიერთობა, განმტკიცდა რწმენა, რომ ჩვენ კი არ უნდა ვმტრობდეთ, არამედ უნდა ვმეგობრობდეთ ერთმანეთთან, და რომ ეს მეგობრობა სასარგებლო და ხელსაყრელია ორივე ხალხისათვის. საბჭოთა ადამიანებს სურთ კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ დასავლეთ გერმანიის გერმანელებთანაც.

ჩვენს ხალხს სურს იმეგობროს ფრანგებთან. ჩვენ მათთან ერთად ვომობდით ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, ვიიღონ მონაწილეობა საზავო კონფერენციაში, როცა მიღწეული იქნება შეთანხმება ამ კონფერენციის მოწვევის შესახებ. საკითხი ახლა ის კი არ არის, ხელს მოვაწერთ თუ არ მოვაწერთ საზავო ხელშეკრულებას, არამედ ის, თუ ვისთან დაიდება ეს საზავო ხელშეკრულება, ორ რეალურად არსებულ გერმანულ სახელმწიფოსთან—გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, თუ ერთ გერმანულ სახელმწიფოსთან და მიიღებს თუ არა მშვიდობიან მოწესრიგებაში მონაწილეობას ყველა ის სახელმწიფო თუ მხოლოდ მათი ნაწილი, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ ომობდნენ.

ზოგიერთი ქვეყნის მთავრობებმა წინასწარ გამოაცხადეს, რომ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას საზავო კონფერენციაში. საბჭოთა კავშირი, რასაკვირველია, სინანულს გამოთქვამს, თუ რომელიმე სახელმწიფო თავს აარიდებს გერმანიის საზავო ხელშეკრულების ხელისმოწერას, და ეცდება, რომ გერმანიის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებაში მონაწილეობა მიიღოს ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა ქვეყანამ.

მაგრამ ზოგიერთმა ქვეყანამ კიდევაც რომ განაცხადოს უარი საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებაზე, ჩვენ ეს არ შეგვაჩერებს და სხვა ქვეყნებთან ერთად, რომლებიც მოისურვებენ ამას, ხელს მოვაწერთ საზავო ხელშეკრულებას ორ გერმანულ სახელმწიფოსთან. თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ დათანხმდება ხელი მოაწეროს საზავო ხელშეკრულებას, ჩვენ ხელს მოვაწერთ მას მარტო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ სურვილი აქვს დაიდოს საზავო ხელშეკრულება და დათანხმდა შეიქმნას მის ტერიტორიაზე თავისუფალი ქალაქი დასავლეთი ბერლინი.

ზოგი ვინმე დასავლეთში გვემუქრება და აცხადებს, რომ თუ ჩვენ ხელს მოვაწერთ საზავო ხელშეკრულებას, არ ცნობენ ამ ხელშეკრულებას და რომ იარაღსაც კი გამოიყენებენ, რათა ხელი შეუშალონ მის განხორციელებას. ისინი, როგორც ჩანს, ივიწყებენ, რომ ახლა სხვა დროა. თუ კი წინათ ძალის პოზიციის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ გამოუსადეგარი იყო, ახლა იგი მით უმეტეს განწირულია ჩასაფუშავად. საბჭოთა კავშირი წინააღმდეგია ძალის გამოყენებისა სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ჩვენ ვემხრობით სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მშვიდობიან მოწესრიგებას. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია საკადრისი პასუხი გავცეთ ყოველგვარ ძალადობას და ყოველივე მოგვიპოვება, რათა დავიცვათ ჩვენი ინტერესები.

ვენაში შეხვედრის დროს გაიმართა აგრეთვე აზრთა ურთიერთგაზიარება ლაოსში არსებული მდგომარეობის შესახებ და ლაოსის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

როგორც ნათქვამია კომუნიკეში ამის შესახებ, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ „კვლავ დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ ნეიტრალურ და დამოუკიდებელ ლაოსს თვით ლაოსელების მიერ არჩეული მთავრობის მეთაურობით. აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ნეიტრალიტეტსა და დამოუკიდებლობას. ამასთან დაკავშირებით მათ შესაძლებლად მიიჩნიეს ლაოსში ცეცხლის ეფექტიანი შეწყვეტა“.

ლაოსელები მშვიდობისმოყვარე ხალხია. დაადგა რა დამოუკიდებელი განვითარების გზას, ეს ქვეყანა არავის არ ემუქრებოდა და არ ყოფილა დაძაბულობის წყარო.

ასე იყო მანამდე, სანამ იმპერიალისტებმა არ გადაწყვიტეს გადაექციათ ლაოსი თავიანთ სამხედრო პლაცდარმად, აგრესიის მომზადების ბაზად.

პრინც სუვანა ფუმას კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ მოაწყეს ამბოხება. მეამბოხეებმა მიიღეს იარაღი, სამხედრო მრჩევლები შეერთებული შტატებიდან. ამ ქვეყანაში დაირღვა მშვიდობა, გაჩაღდა ომი. რომელიც გარედან ჩარევის გამო კინაღამ გადაიზარდა დიდ ხანძრად. შეიქმნა მსოფლიოსათვის უაღრესად საშიში მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ახლა ამერიკის მხარე არ მალავს, რომ ლაოსში მომხდარ საშიშ ამბებში ბრალი მიუძღოდა ამერიკის შეერთებული შტატების წინანდელ მთავრობას და მისი პოლიტიკა დედამიწის ამ რაიონში ყოველთვის როდი იყო ბრძნული. მიმდინარე წლის მარტში ბ-ნმა კენედიმ განაცხადა, რომ მთავრობა, რომელსაც იგი მეთაურობს, ეცდება შეიქმნას ნეიტრალური და დამოუკიდებელი ლაოსი. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენ წინათაც და ახლაც იმის მომხრე ვიყავით და ვართ, რომ ლაოსი იყოს დამოუკიდებელი და ნეიტრალური სახელმწიფო, და არა იარაღი სამხედრო ბლოკების ხელში, რომ არავინ არ ერეოდეს ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში.

ამრიგად, ვენაში შეხვედრის წინ იყო საკმაო წანამძღვრები, რათა გამოგვენახა ლაოსში მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე თანხმობის საფუძველი.

პრეზიდენტ კენედისთან ერთად ლაოსის საკითხის განხილვის დროს ჩვენს შორის აღმოჩნდა მსგავსი მიდგომა. მე განვაცხადე, რომ ამ საკითხის მოსაწესრიგებლად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას დამოუკიდებელი და ნეიტრალური ლაოსის შექმნა. ამავე დროს ზუსტად უნდა გამოიყოს ერთმანეთისაგან საგარეო და საშინაო საკითხები. ლაოსის საშინაო პოლიტიკა არ შეიძლება განსაზღვრონ და არც უნდა განსაზღვრონ არც საბჭოთა კავშირმა, არც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, არც სხვა ქვეყნებმა. თუ რომელიმე ქვეყანა დააწესებს, როგორ იცხოვროს ლაოსმა და როგორი მთავრობა ჰყავდეს, ეს დამოუკიდებელი, ნეიტრალური ლაოსი კი არ იქნება, არამედ ლაოსი, რომელსაც გარედან მართავენ. ეს კი დაუშვებელია.

ლაოსში მოქმედმა სამმა პოლიტიკურმა ძალამ თვითონვე უნდა შექმნას ისეთი მთავრობა, რომელიც დაემყარება დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის პოზიციებს. საბჭოთა კავშირი მიესალმება ასეთ პოლიტიკას და ყოველ ღონეს იხმარს ამისათვის.

ყოველივე ამ[illegible] ზიდენტ კენ[illegible] ბეჭდილება[illegible] გებით მ[illegible] თქვა, რომ ორივე ჩვენმა ქვეყანამ ზეგავლენა უნდა მოახდინოს ლაოსის შესაბამის პოლიტიკურ დაჯგუფებებზე, რათა მიღწეულ იქნას მათ შორის შეთანხმება ერთიანი მთავრობისა და მისი პროგრამის შექმნის შესახებ, დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის აღიარების საფუძველზე. ჩვენ ასეთი მიდგომა გონივრულად მიგვაჩნია.

ჩვენ მტკიცედ გვწამდა, რომ არავინ არ უნდა ჩაერიოს ლაოსის საშინაო საქმეებში, რადგანაც რომელიმე ერთი მხარის ჩარევას შეიძლება ფრიად სახიფათო შედეგები მოჰყვეს. ყურადღებით და ფხიზლად უნდა მივუდგეთ ლაოსის პრობლემის გადაჭრას და არ უნდა დავუშვათ ისეთი რამ, რომ გართულდეს ლაოსში მშვიდობიანი მოწესრიგების შესაძლებლობა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ამერიკელ ოფიცერთა გამოყენება მეამბოხეთა ჯარებში სამხედრო მრჩევლებად ნიშნავს ჩარევას საშინაო საქმეებში გარკვეული პოლიტიკური დაჯგუფების მხარეზე. ასეთი მიდგომა არ შეესაბამება ლაოსისათვის ნეიტრალიტეტის პოლიტიკის აღიარებას და აშკარა ჩარევაა მის საშინაო საქმეებში. რაც უფრო მალე იტყვის უარს ამერიკის მხარე ასეთ ჩარევაზე, მით უკეთესი იქნება, ხოლო თუ მეამბოხეთათვის ხელშეწყობის ახლანდელი პოლიტიკა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მოვლენათა განვითარებამ შეიძლება ცუდი შედეგები მოიტანოს.

მით უფრო დაუშვებელია, როცა ზოგი ვინმე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ არ გამოეთხოვა ლაოსში სამხედრო ქვეითი ჯარის შეყვანისა და სპეციალური სამხედრო შენაერთების დანმარებით იქ ომის გაჩაღების გეგმებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ შენაერთებს, რატომღაც, პარტიზანულ შენაერთებს უწოდებენ.

სინამდვილეში კი ეს შენაერთები სხვა არაფერია, თუ არა იმ ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ საბრძოლველად გათვალისწინებული სადივერსიო და ძირგამომთხრელი რაზმები, რომელთა რეჟიმები არ მოსწონთ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს. შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ ვინც ამგვარ მეთოდებს მიმართავს, მას არ აუწონ-დაუწონია ყველა შედეგი, რაც ამას თვითონ მათთვის მოჰყვება.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ნამდვილად ესწრაფვის ლაოსის მშვიდობას, მან ხელი უნდა შეუწყოს ჟენევის მოლაპარაკების უსწრაფეს წარმატებას. არავინ არ უნდა აფერხებდეს ამ მოლაპარაკებას სხვადასხვა მოგონილი საბაბით, თითქოს ლაოსში არღვევენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. თუ ასეთი ფაქტები მართლაც მოხდა, ამაში ბრალი როდი მიუძღვით ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს. ეს კარგად იციან ამერიკის მხარემ და მისმა სამხედრო მრჩევლებ

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

მტკიცე, არ შეუძლია მუდამ არსებობდეს. და რარიგ ხერხიანადაც უნდა იყოს აგებული ექსპლოატაციისა და ჩაგვრის სისტემა, სულ ერთია ხალხები მიაღწევენ თავისუფლებას და დაამხობენ მჩაგვრელებს. ცვლილებანი საზოგადოების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდუვალი პროცესია. იგი არ არის დამოკიდებული სახელმწიფო მოღვაწეთა შეთანხმებაზე. ვინმემ კიდევაც რომ დაუშვას ასეთი უგუნურება, შეეცადოს, რომ როგორმე მიაღწიოს შეთანხმებას ამ საკითხზე, ამით იგი ცხადყოფს თავის უსუსურობასა და იმას, რომ არ ესმის მოვლენები და ცვლილებები, რაც მსოფლიოში ხდება.

შეუძლებელია შექმნან რაღაც დაბრკოლებანი პროგრესისაკენ, უკეთესი ცხოვრებისაკენ ხალხთა წინსვლის გზაზე. ეს დამტკიცებულია ადამიანთა განვითარების მთელი მსვლელობით. ერთ დროს იყო მონათმფლობელური წყობილება, იგი შეცვალა ფეოდალიზმმა, შემდეგ ფეოდალიზმი შეიცვალა კაპიტალისტური წყობილებით. ერთი წყობილება ცვლიდა მეორეს, იმიტომ, რომ ახალი წყობილება უფრო პროგრესული იყო.

შეიძლება დავიმოწმოთ მაგალითი თვით ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომლებიც წარმოიშვნენ დიდი ბრიტანეთის მხრივ კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამერიკელი ხალხი ეწოდა მტკიცე განმათავისუფლებელ ბრძოლას და იარაღით მოიპოვა დამოუკიდებლობა. ერთ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს მოვლენათა ასეთი განვითარება ნორმალურად მიაჩნდათ.

ახლა კი, თუ ხალხები იწყებენ ბრძოლას რეაქციული რეჟიმების წინააღმდეგ, თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ, შეერთებული შტატები ცდილობენ ჩაერიონ ამ ქვეყნების საქმეებში, რათა შეინარჩუნონ ძველი წესები.

იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებს სურთ გამონახონ საშუალება იმისათვის, რომ განმათავისუფლებელი იდეები, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები შემდგომ აღარ ვრცელდებოდეს. როცა რომელიმე კაპიტალისტური ან კოლონიური ქვეყნის ხალხი, იჩენს რა უკმაყოფილებას არსებული წყობილებით, ცდილობს შეცვალოს ეს წყობილება, შემოიღოს ახალი წესწყობილება, რომელიც შეესაბამება ხალხის ინტერესებს, იმპერიალისტური ქვეყნების მთავრობები დაუყოვნებლივ აცხადებენ ამას კომუნისტების ხრიკებად. ამბობენ, აქ მოსკოვის ხელი მოქმედებსო და სხვ. მათ არაფერი აქვთ იმის საწინააღმდეგო, რომ ასეთი მონაჭორები გამოიყენონ საბაბად სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის.

იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარება რეაქციული ძალებისადმი ამა თუ იმ ქვეყანაში დიდ საფრთხის შეიცავს და შეიძლება გამოიწვიოს დიდი გართულებები. საბჭოთა ხალხი და სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხები მტკიცედ იცავენ ყოველი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას. ეს მშვიდობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა.

ყოველ ხალხს აქვს დამოუკიდებლობისა და თავისუფალი ეროვნული არსებობის უფლება. და არც ერთი სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლა. ხალხები იბრძვიან თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ, რეაქციული რეჟიმების წინააღმდეგ. ამ პროცესების რეგულირება შეთანხმების გზით შეუძლებელია. ვისაც სურს დადოს შეთანხმება ამ საკითხზე, ის მხოლოდ ცხადყოფს, რომ ისტორიული მოვლენებისა არა გაეგება რა, არ იცნობს საზოგადოების განვითარების კანონებს.

მთავარი, რაც, ჩვენი აზრით, უნდა აღიარონ დასავლეთის სახელმწიფოებმა და განსაკუთრებით შეერთებულმა შტატებმა, ის არის, რომ სოციალიზმი ახლა მტკიცედ დამკვიდრდა მსოფლიოში და არავის არ ძალუძს შეცვალოს ეს ფაქტი. ცნობილია, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველ წრეებში იყო და არის სოციალისტური წყობილების ლიკვიდაციის გეგმები. მაგრამ ასეთი ცდები მარცხით მთავრდებოდა და კვლავაც დამთავრდება. საჭიროა გავითვალისწინოთ მსოფლიოში ორი სოციალური სისტემის არსებობის ფაქტი და სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების ურთიერთობა მოვაწყოთ ისე. რომ უზრუნველყოთ მათი მშვიდობიანი თანამშრომლობა. ეს ერთადერთი გონივრული გზაა სახელმწიფოთა ურთიერთობაში იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მშვიდობა.

• • •

აი რა მინდოდა მეამბნა თქვენთვის, ამხანაგებო, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჩვენი საუბრების შესახებ. უნდა ვთქვა, რომ საერთოდ მე კმაყოფილი დავრჩი ამ საუბრებით. თქვენ რომ მკითხოთ: ღირდა თუ არა შეთანხმება ამ შეხვედრის შესახებ, ღირდა თუ არა მისი მოწყობა, მე უყოყმანოდ გიპასუხებთ — ახლები შეხვედრის მოწყობა ღირდა, უფრო მეტიც, საჭირო იყო.

ჩვენს საუბრებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან არც ერთი, არც მეორე მხარე არ გაუბრობდა ყველაზე მწვავე საკითხების დასმასა და განხილვას. შეიძლება ითქვას, რომ იყო გულახდილი ლაპარაკი. ჩვენ ყურადღებით გავეცანით შეერთებული შტატების მთავრობის პოზიციას და დაწვრილებით გავაცანით საბჭოთა მთავრობის პოზიცია მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე. უკვე მარტო ამას მცირე მნიშვნელობა როდი აქვს. რა თქმა უნდა, არავინ არ მოელოდა, რომ ჩვენ მივაღწევთ სრულ თანხმობას — ძალიან დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან ჩვენი ორი სახელმწიფოს კურსი, რომ ამის იმედი გვქონდა.

მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტ კენედის ესმის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება ორი ასეთი ძლიავრი სახელმწიფოს მთავრობებს. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ამ პასუხისმგებლობის შეგნება მომავალშიც დარჩება, რათა შეეძლოთ მომწიფებული საერთაშორისო საკითხების გადაჭრა. იმ ქვების თავიდან მოშორება. რომლებიც გზას გვიღობავენ მტკიცე მშვიდობისაკენ. საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ.

ახლა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა არცთუ ისე კარგია, და ასეთი მდგომარეობა საბჭოთა კავშირის მიზეზით როდი შეიქმნა. მაგრამ ჩვენ გვინდა გვჯეროდეს, რომ დადგება ისეთი დრო, როცა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა გაუმჯობესდება. და ეს კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე.

ვენაში ჩვენ ემუშაობდით, შეიძლება ითქვას. შემჭიდროებული გრაფიკით. იმის შეიანებ, რომ ჩვენ ვართ დიდი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლნი, სიმხნეევს გვმატებდა. ამოცანას გვიმსუბუქებდა. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენს ლენინურ საგარეო პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების ხალხები. ჩვენს მხარეზეა ასეთულ მილიონობით ადამიანის სიმპათიები მთელ მსოფლიოში. საბჭოთა მთავრობა კვლავაც მთელი თანმიმდევრობით განახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ყურადღებისათვის.

ნახვამდის!

ღამე მშვიდობისა!

ავამაღლოთ პარტიული პროპაგანდის ქმედითობა, განვამტკიცოთ მისი კავშირი ცხოვრებასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე პირობებში, როცა ჩვენი ქვეყანა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პეროდში შევიდა, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დაუფლება, პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლების ღრმა გაგება ყოველ საბჭოთა ადამიანის საარსებო მოთხოვნილება გახდა. მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა აუცილებელი საფუძველია იმისათვის, რომ ადამიანები აღვზარდოთ კომუნისტური პარტიისადმი, სამშობლოსადმი ერთგულების, თავისი საქმის, ნათელი მომავლის ღრმა რწმენის სულისკვეთებით.

პარტიული პროპაგანდის ქმედითობისა და მებრძოლურობის შემდგომი ამაღლების, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მისი კავშირის განმტკიცების საკითხებს მიეძღვნა პარტიის სალარო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების და პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების, იდეოლოგიურ დაწესებულებათა მუშაკების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. **მ. გოგიჩაიშვილის** მოხსენება „პარტიული განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ახალ სასწავლო წელს“.

პარტიის XX და XXI ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებში, ამბობს მომხსენებელი, მოცემულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ძირეული პრობლემების და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობის ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხის ღრმა თეორიული განზოგადება. ეს გადაწყვეტილებანი, რომლებიც თეორიისადმი შემოქმედებითი მიდგომის ნიმუშია, ზუსტად განსაზღვრავენ პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ძირითად ამოცანებსა და შინაარსს თანამედროვე ეტაპზე.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, ახორციელებდნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ“, გასულ სასწავლო წელს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს პროპაგანდის გაუმჯობესებაში. ამ უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტის შესრულებისათვის ჯეფული მუშაობის დიდმნიშვნელოვანი შედეგია ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან პარტიული პროპაგანდის კავშირის შემდგომი განმტკიცება.

მომხსენებელი ამბობს, რომ ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელთა ცხოვრება გასული სასწავლო წლის პეროდში ალსავსე იყო უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებით, რომლებმაც უდიდესი, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინეს ჩვენი ქვეყნის მთელ იდეურ ცხოვრებაზე. ამ აღმაფრთოვანებელმა ამბებმა პარტიული განათლების ქსელის მუშაობა ჯახდეს სისხლსავსე და კიდევ უფრო შინაარსიანი, გააძლიერეს კომუნისტთა და უპარტიოთა ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხების შესწავლისადმი.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ გაფართოონ პარტიული პროპაგანდის გავლენის სფერო, აამაღლონ მისი მასობრიობა და იდეურობა, სავსებით გამოიყენონ არსებული ხელსაყრელი პირობები, რათა თავისი იდეურ-პოლიტიკური გავლენა მოახდინონ თვითეული საბჭოთა ადამიანზე. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ პარტიული განათლების სისტემის მსმენელთა რიცხვი წინა წელთან შედარებით 69 ათასი კაცით გადიდდა. სამჯერ და უფრო მეტად გაიზარდა ერთ წელიწადში პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულ კომკავშირელთა და უპარტიოთა რაოდენობა.

გასული სასწავლო წლისათვის დამახასიათებელი იყო კადრების ეკონომიური განათლების შემდგომ გაუმჯობესება და გაფართოება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიური განათლება პარტიული პროპაგანდის წამყვანი უბანი გახდა. ბევრ ქალაქსა და რაიონში ეკონომიურ სწავლებაში ჩაება პარტიული განათლების მსმენელთა ნახევარზე მეტი, ხოლო ქალაქ სტალინირში, მაგალითად, სამრეწველო საწარმოთა თითქმის ყველა მუშა სწავლობს წარმოების კონკრეტულ ეკონომიკას. სულ რესპუბლიკაში კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელთა რიცხვი წლის განმავლობაში ერთიორად გადიდდა და შეადგინა 81.855 კაცი.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების თაოსნობას — უახლესი ორი-სამი წლის განმავლობაში შეიარაღონ თვითეული მუშა და კოლმეურნე კონკრეტული ეკონომიური ცოდნის მინიმუმით დაწყებითი ეკონომიური სკოლებისა და წრეების საშუალებით. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში შეიქმნა 1.550-ზე მეტი დაწყებითი სკოლა და წრე, რომლებშიც მრეწველობის და სოფლის მეურნეობის კონკრეტულ ეკონომიკას სწავლობდნენ მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ათეულ ათასობით მუშაკი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიური ცოდნის პროპაგანდაში სერიოზული ნაკლოვანებებიც იყო. ჯერ კიდევ სასწავლო წლის დამდეგს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ, რომელშიც პარტიის ზოგიერთ რაიკომს მიუთითა, რომ ჯეროვნად არ აფასებენ განათლების ამ ფორმას. მაგრამ მეცადინეობა რიგმა რაიკომებმა, მაგალითად, თეთრი წყაროს, გურჯაანის, წალენჯიხის რაიკომებმა ამ კრიტიკიდან არ გამოიტანეს ჯეროვანი დასკვნები, — შექმნეს სულ მხოლოდ 2-3 ეკონომიური წრე და სკოლა, ხოლო მესტიის რაიონში ასეთი სკოლები საერთოდ არ შექმნილა. კასპის, თელავის, აბაშის, ბოლნისის, ჩხოროწყუს, ზნაურის რაიონების მთელ რიგ პარტორგანიზაციებში მეცადინეობა კონკრეტული ეკონომიკის შესასწავლად მამდინარეობდა ზერელედ. უინტერესოდ, მოწყვეტილი იყო წარმოების კონკრეტულ ამოცანებს.

სერიოზული ყურადღება ეთმობოდა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, ეთიკისა და ესთეტიკის, ბუნებისმეტყველების, მეცნიერული ათეიზმის შესწავლას. მარტო თბილისში მოეწყო ფილოსოფიის ცალკეულ პრობლემათა შემსწავლელი 257 წრე და სემინარი. ნაყოფიერად ეუშაობდნენ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის სემინარები.

მაგრამ, აღინიშნავს მომხსენებელი, ყველა პარტიული ორგანიზაციისა როი უომბს ბევრად ფართენ ფაქტორ — ლიტონდასამუშავებელი, ხისდასამუშავებელი, სამკერვალო და საფეიქრო მრეწველობის. [illegible] ინტერესებისა და [illegible] რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობის განვითარებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვას წარმოებაში. ტექნიკურ სიახლეთა უნივერსიტეტის მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური და თბილისის საქალაქო კომიტეტების ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლი მეთოდურ დახმარებას რომ უწევდეს ამ ახალი საქმის ორგანიზაციას და საერთოდ მთელ იდეოლოგიურ მუშაობას. ამ სამართლიან კრიტიკას შეეურთდნენ აგრეთვე თათბირის სხვა მონაწილენი.

სოფლის მეურნეობის კონკრეტული ეკონომიკის ცოდნით კადრების შეიარაღებაზე ილაპარაკა პარტიის წყალის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ა. პოლიხრონოვმა.** მან აღნიშნა, რომ პარტიული განათლების ქსელის მსმენელთა დაახლოებით ნახევარი ჩაბმულია ეკონომიურ სწავლებაში, და მოიყვანა ამ სწავლების ქმედითობის კონკრეტული მაგალითები. სოფელ ნარდევანის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ მოაწყო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი ორი წრე. ამ წრეებში გაერთიანდა 65 მემანდვრე და მეცხოველე. მეცადინეობა, რომელსაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ, საინტერესოდ მიმდინარეობდა. მსმენელებმა ღრმად შეისწავლეს თავიანთი კოლმეურნეობის ეკონომიკა, მისი შვიდწლიანი გეგმა, შეიტანეს საგულისხმო წინადადებანი წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის. წრეების ყველა მსმენელი თვითონ მაგალითს აძლევს სხვებს, აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ შრომაში.

პროპაგანდისტებთან მუშაობის გაძლიერების საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა პარტიის მესტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ბ. ჯალდანმა.** ჩვენს რაიონში, თქვა მან, პროპაგანდისტებად მუშაობენ გამოცდილი პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა მუშაკები. ამ ამხანაგების უმრავლესობას უმაღლესი ან სპეციალური საშუალო განათლება აქვს მიღებული. პარტიის რაიკომი მუდამ ზრუნავს პროპაგანდისტთა თეორიული და საქმიანი დონის ამაღლებისათვის, აწყობს მათთვის თათბირ-სემინარებს, კონფერენციებს, ლექციებს, მოხსენებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ხაზგასმით აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში პროპაგანდისტთა შერჩევის, სწავლებისა და აღზრდის საქმის ძირეულად გაუმჯობესება მთელი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი ღამავლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. განახორციელებენ რა ამ უმნიშვნელოვანეს მითითებას, პარტიის რაიკომი, რაიონის პირველადი პარტორგანიზაციები მიაღწევენ პროპაგანდისტთა კადრების მომზადების მკვეთრად გაუმჯობესებას.

—ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გაძლიერდა კომუნისტების ინტერესი სკკპ ისტორიის შესწავლისადმი, — ამბობს პარტიის ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიკომის მდივანი ამხ. **ლ. ბუჩკოვა.** — რაიონის პოლიტიკური განათლების მთელი ქსელის ძირითადი შინაარსი გახდა ჩვენი სახელოვანი ლენინური პარტიის გმირული ისტორიის ღრმად შესწავლა. ამასთან მთავარი ყურადღება ექცევა იმას, რომ ყოველმხრივ და საფუძვლიანად გავაცნოთ მსმენელებს პარტიის მოღვაწეობა დიდი სამამულო ომის წლებში და ომისშემდგომ პეროდში. შექმნილია ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი პოლიტსკოლების, წრეებისა და სემინარების ფართოდ განშტოებული ქსელი.

მაგრამ, აღიარებს ორატორი, ამ საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთმა პროპაგანდისტმა ცალმხრივად, გაუბრალოებულად გაიგო ის ჭეშმარიტება, რომ პროპაგანდის ქმედითობა ბევრად არის დამოკიდებული ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირზე, და მას აბორიგელებენ ძირითადად კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელთა მეცადინეობაზე, ხოლო ლექციები თეორიულ საკითხებზე დამორებულია ცოცხალ სინამდვილეს, არ შეიცავს თანამედროვეობის მკაფიო ფაქტებს.

ეს აზრი გამოთქვა აგრეთვე პარტიის ლენინგორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ე. ბიტაროვამ.** მან კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, თუ როგორ უწყობს ხელს წარმოების კონკრეტული ეკონომიკის შესწავლა მაღალი შრომითი მაჩვენებლების მიღწევას. რაც შეეხება მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პარტიის ისტორიის, მომდინარე პოლიტიკის შესწავლას, იგი ზოგჯერ მიმდინარეობს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან მოწყვეტით. პროპაგანდისტები და ლექტორები ღრმად და ყოველმხრივ არ აშუქებენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს ცხოვრებასთან განუყოფელი ერთიანობით, სუსტად უჩვენებენ ამ იდეების წარმატებით განხორციელებას სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის მსვლელობაში, არ ასწავლიან კომუნისტებსა და უპარტიოებს თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენონ პარტიის მიერ შეძენილი თეორიული სიმდიერე.

ასრულებენ რა ამ მითითებას, ამბობს პარტიის ახალქალაქის რაიკომის მდივანი ამხ. **თ. ლაზარაშვილი.** ჩვენი რაიონის პარტორგანიზაციები ფართოდ იყენებენ მშრომელთა შორის პოლიტიკურ მუშაობაში ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, სამეურნეო და კომკავშირულ კადრებს.

რაიონის ყველა პროპაგანდისტს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. რაიკომის მდივნები ხელმძღვანელობენ ოწლიან ეკონომიურ სკოლას პარტიული და საბჭოთა აქტივისათვის და მუდმივმოქმედ სემინარებს პროპაგანდისტებისათვის. ხელმძღვანელი მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ ლექციურ პროპაგანდაშიც.

პარტიული განათლების შემდგომი აღმავლობისა და სრულყოფის უმნიშვნელოვანესი პირობაა, ამბობდნენ თათბირის მონაწილენი. იდეოლოგიური მუშაობის ამ დარგის მუდმივი ხელმძღვანელობა პარტიული კომიტეტებისა და პარტიული ორგანიზაციების მხრივ. საჭიროა მეტი ზრუნვა პარტიული პროპაგანდის ორგანიზაციისა და მისი იდეური დონის ამაღლებისათვის, საჭიროა უფრო ხშირად შევამოწმოთ და განვიხილოთ საქმის მდგომარეობა პარტიული განათლების ქსელში. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოლიტიკური სწავლების დონეზე ბევრად იქნება დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დიდებული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, (საქდესი).

ბოლოს [illegible] ტექნიკური სიახლეთა ინსტიტუტის [illegible] ინჟინერ-ტექნიკოსთა [illegible] ინჟინერ-ტექნიკოსთა [illegible] ინჟინერ-ტექნიკოსთა

ლიტერატურა და ხელოვნება

„ადამიანი დაბრუნდა“

სომხური თეატრის ახალი წარმოდგენა

თბილისის შაუმიანის სახელობის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრს თავისი არსებობის მანძილზე ათეული ქართული დრამატული ნაწარმოები დაუდგამს. ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების ჩვენება სომხურ ენაზე ამ კოლექტივის ტრადიციად იქცა. ეს ფაქტი ცხადად გამოხატავს თეატრის ჯანსაღ მიმართულებას სომეხი ხალხისა და ქართველი ხალხის საუკუნეობრივი მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ქართული პიესებიდან მიმდინარე სეზონში თეატრმა დასადგმელად აირჩია ამირან აბშილავის დრამა „ადამიანი დაბრუნდა“ („ვიდრე ცოცხლები ვართ“), რომელმაც მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

„ადამიანი დაბრუნდა“ მთელი თავისი არსით მიმართულია ომის წინააღმდეგ.

დრამაში დიდი სიმართლით არის ასახული უფსკრულთან მდგომი ჭაბუკის ზაზას გადარჩენის ამბავი. ზაზას ომმა წართვა ბედნიერი ბავშვობა და ცხოვრების მრისხანე მორეული გადაისროლა. მამამისი არჩილი შეცდომით მოჰყავს უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიაში, ხოლო დედა, დარწმუნებული, რომ არჩილი არასოდეს არ დაბრუნდება, ცოლად გაჰყავს ოჯახის უახლოეს მეგობარს ლევანს. ნინოს საბედისწერო შეცდომა ის არის, რომ მან ვერ გაითვალისწინა, რა ძლიერად უყვარდა ზაზას ომში დაკარგული მამა, რომელსაც ვერავინ ვერ შეცვლიდა ქვეყანაზე, ნინომ და ლევანმა ვერ განჭვრიტეს თავიანთი მოქმედების მწარე შედეგები. თოთხმეტი წლის ზაზა გარბის სახლიდან და დამნაშავეთა სამყაროში ხვდება.

ნაწარმოების საგრძნობი პირობითობა და სიმბოლიკა რეჟისორული ძიებისა და სცენური გამომგონებლობის ძირითადი წყარო გახდა. ორიგინალური მიზანსცენებით, ხასიათების ზუსტი გაგებით რეჟისორმა ფ. ბეკიანმა თანმიმდევრულად სიმართლით უჩვენა მაყურებელს გმირთა სულიერი სამყარო. უნდა ითქვას, რომ წარმოდგენის ფასაწყისიდან დასასრულამდე იგრძნობა რეჟისორის, მხატვრის და კომპოზიტორის ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა. რ. ნალბანდიანმა და კომპოზიტორმა ს. მირიანაშვილმა საგრძნობლად შეუწყეს ხელი სპექტაკლის ძირითადი იზრის ახლებურად, ორიგინალურად გახსნას. ამ გზითვე წავიდნენ შემსრულებლებიც, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ რ. პაპოვიანი და ვ. ეხმატიანი, თვითეული თავისებურად ზომიერად, თბილად წარმოგვიდგენს ზაზას სახეს.

ა. ლუსინიანი შეუდარებელია არჩილის როლში. იგი პირველი გამოჩენისთანავე იპყრობს მაყურებელს. ჩვენს წინაშე მთელი სიმართლით დგება ომის მწარე განსაცდელის ცეცხლში გამოვლილი ადამიანი, მოსიყვარულე, მაგრამ ამასთანავე ბედგამწარებული მეუღლე და მამა. ეს როლი დრამატურგს თითქოს საგანგებოდ ლუსინიანისათვის დაუწერია. მართალია, თავისი სცენური მოღვაწეობის ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ნიჭიერმა მსახიობმა ბევრი მაღალმხატვრული სახე შექმნა. მაგრამ, ჩვენი აზრით, არჩილის სახე მსახიობის მნიშვნელოვანი მიღწევაა. დ. ამირბეგიანი ლევანის როლს ავითარებს ჩვეული დრამატული სულისკვეთებით.

ა. ქარაჯიანის (ნინო) თამაშში იგრძნობა, რომ მსახიობს ბევრი უმუშავია როლზე და ბევრად მიზნისთვისაც მიუღწევია. მაგრამ აქ ავტორს უფრო უნდა ეუსაყვედურეთ, ვიდრე მსახიობს. ნინოს საბედისწერო ნაბიჯი და ამით გამოწვეული დაბნეულობა ავტორის მიერ ბოლომდე ვერ არის ფსიქოლოგიურად დამუშავებული.

შთამბეჭდავია ს. ბაბლიანი ირაკლის როლში. მის მიერ შექმნილი ირაკლი ცხოვრების სინათლითა და სუსხით დაბრძენებული ადამიანია.

კარგია ს. ჯანიკიანი ეკონ თამარის როლში. შეიძლება ითქვას, რომ მსახიობი როლიდან როლამდე იზრდება.

დანარჩენი შემსრულებლებისგან აღსანიშნავი არიან რ. ხაჩატურიანი (პატარა ზაზა), რ. სიმონიანი (ნუგზარი), ბ. ტრდატიანი (ირითინა), ნ. თუმანიანი (დარეჯი), ჯ. ათაბეგიანი (ჭინკა), რ. ოვანესიანი (ქონდარა), ა. სანოსიანი (ცქიფა) და ა. თადეოსიანი (ბიჭიკაშვილი).

„ადამიანი დაბრუნდა“ მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეორმოცე წლისთავს. იგი საზოგადოებისათვის ნამდვილად საჭირო და სასარგებლო ნაწარმოებია. მისი წარმატებით დადგმა შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრის კოლექტივის სასახელო შემოქმედებითს წარმატებაზე მეტყველებს.

ს. ისნელი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლ „ადამიანი დაბრუნდას“ მეორე მოქმედებიდან.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ხელოვნების ქრონიკა

△ **ქუთაისი.** (საკ. კორ.). ვ. აბაშიძის სახელობის საქალაქო კულტურის სახლის თვითმოქმედმა თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა გრ. მხეიძის პიესა „მოუხედავად ადგილისა“.

პიესა დადგა ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორმა თ. მესხმა, მხატვრულად გააფორმა ი. პეტრიაშვილმა. როლებს ასრულებენ მ. ლომთათიძე, ლ. ნუცუბიძე, ც. ხარატი, ლ. ტყეშელაშვილი, ლ. ქურციკიძე, მ. ახალთანი და სხვები.

△ **ზუგდიდის** შ. დადიანის სახელობის დრამატული თეატრი ივნისში საგასტროლოდ მოგზაურობს გეგეჭკორის, ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში. შემდეგ კი სპექტაკლებს გამართავს თბილისში, რუსთავში, თელავსა და გორში.

თეატრის საგასტროლო რეპერტუარშია ფლეტჩერის „როგორ მოვარჯულოთ ცოლი“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, ნ. დუმბაძის „მე, ბებია ილიკო და ილარიონი“, გ. ლაღიძის „მაცი ხვიტია“, დ. ახალკაციშვილის „გულისა“ და ა. ოდიშარიას „ჟკვიანი ცოლი“.

ბ. ალშიბაია,
ვ. ცომაია.

ნიუ-იორკი სიბნელეში

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სიბნელე იყო. ქალაქში სიბნელე იყო. მწყობრიდან გამოვიდა ნიუ-იორკის ცენტრალური ელექტროსადგური, რომელიც კერძო კომპანიას „კონსოლიდეიტედ ედისონს“ ეკუთვნის. უდიდესი რაიონი ქალაქის ცენტრში, რომელსაც 5 კვადრატული მილი ფართობი უკავია, პარალიზებული იყო. გაჩერდა მიწისქვეშა გზის მატარებლები, მუშაობა შეწყვიტეს ლიფტებმა. რამდენიმე რადიო და სატელევიზიო სადგური იძულებული იყო შეეწყვიტა გადაცემები ენერგიის უქონლობის გამო. საავადმყოფოები უბედურების სიგნალებს უგზავნიდნენ პოლიციას. ათეულ ათასობით მგზავრი უსინათლოდ დარჩა მატარებლებში. სავსებით შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქციაში.

ნიუ-იორკის ელექტროსისტემა პირველად როდი გამოდის მწყობრიდან. ანალოგიური ავარია, რასაც მოჰყვა დიდი უბედურება, მოხდა ორი წლის წინათ. „კონსოლიდეიტედ ედისონმა“ მაშინ ბოდიში მოიხადა, მაგრამ ახლა ცხადი გახდა, რომ ეფექტიანი ღონისძიებანი მსგავსი ავარიების თავიდან აცილების მიზნით არ ყოფილა მიღებული.

შეხედეთ, რა გააფთრებით ჩაუცია სახეში წიხლი ზანგისათვის ამ თეთრკანიანი მტარვალს. ასე უსწორდებიან თეთრკანიანი რასისტები ზანგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა, როცა ეს წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც გამოვიდა წიგნი „ბიძია თომას ქოხი“.

კახეთის ფოლკლორული ექსპედიცია

მაისის შუა რიცხვებიდან საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ კუთხეში კახეთში მუშაობას აწარმოებს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული ექსპედიცია 22 კაცის შემადგენლობით. ექსპედიცია დაკომპლექტებულია სწავლული ფოლკლორისტებითა და ხალხური შემოქმედების გამოცდილი შემკრებლებით. სექსპედიციო ჯგუფებს უძღვებიან ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები ა3. ცანავა და დ. გოგოჭური, მეცნიერ-თანამშრომლები ჯ. ბარდაველიძე და ვ. მაცაბერიძე.

ექსპედიციის მიზანია შეისწავლოს ქართული ხალხური სიტყვიერების თანამედროვე მდგომარეობა. ამის გამო იგი მოივლის კახეთის რაიონების სოფლებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

სამეშაო მარშრუტი სამ ნაწილად არის გაყოფილი: მდ. იორისა და ალაზნის ხეობები, ქიზიყ-შირაქი. თავიანი მიმართულების კვალობაზე ექსპედიციას იორ-ალაზნისაც შეიძლება ეწოდოს. მისი სამოქმედო რაიონებია: სამგორი, საგარეჯო, თიანეთი, ახმეტა, თელავი, გურჯაანი, ყვარელი, ლაგოდეხი, სიღნაღი და წითელწყაროო.

დაკვირვებანი ისტორიულ სოფელ მარტყოფიდან დავიწყეთ. მას მოჰყვა ნორიო, ღილო, გამარჯვება, სართიჭალა, ხაშმი, უჯარმა, ჰალდო, ახალსოფელი, გომბორი... თვითეულ სასოფლო საბჭოში რამდენიმე დღე ვრჩებით, რათა სრული სახით მოვახდინოთ რევოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდში შექმნილი ფოლკლორული ჟანრების ფიქსაცია. შეკრების დროს ვიყენებთ ბგერისჩამწერ ხელსაწყოებს, წარმოებს შესრულების ეპიზოდებისა და მთქმელების ფოტოგრაფირება, ჩახატვა, ოგრეთვე იმ სიძველეთა გადაღება, რომლებთანაც დაკავშირებულია ხალხური თქმულებები და გადმოცემები.

წინასწარი ცნობებით, ორი კვირის განმავლობაში ჩაწერილია 2.700 ტექსტი, რომლის საერთო მოცულობა 3.000 გვერდს აღემატება. აღმოჩენილია მრავალი აქამდე უცნობი სიუჟეტი, თქმულება, ისტორიული გადმოცემა, ლექსი თუ სიმღერა. ფიქსირებულია სამეურნეო საქმიანობასთან და წესჩვეულებებთან დაკავშირებული ძეგლები, რომლებიც შუქს ჰფენენ აქამდე სადავო პრობლემებს, კერძოდ პირქუშის (ხატი) ფუნქციას, თავისი პირის ანუ კაფიის ლექსებს, მთიბლურ სიმღერებს, ვახტანგ გორგასლის პიროვნებას, სამგორის სახელწოდების წარმოშობას, უჯარმის ნაკრები — სხვადასხვა კუთხეებიდან გამოქცეულ ყმა-გლეხობის მოსახლეობის შექმნას, თანამედროვე ფოლკლორის მდგომარეობას, ზეპირსიტყვიერების ტერმინოლოგიას, ტოპონიმიკას და სხვ. ახლად მოპოვებული მასალების დეტალური მეცნიერული დამუშავება და პუბლიკაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართველი ხალხის მხატვრული შემოქმედების განვითარების შესწავლას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მთქმელთა და შემსრულებელთა გამომჟღავნებას, მათს შემოქმედებით აქტივიზაციას სოციალისტური მშენებლობის თემატიკაზე. ამ მიზნით ჩატარდა ფართო ხასიათის საუბრები და მოხსენებები, ხალხური შემოქმედების საღამოები მარტყოფში, ნორიოში, სართიჭალაში, გამარჯვებაში, გომბორსა და უჯარმაში. კოლმეურნეგლეხობა, ადგილობრივი ინტელიგენცია და კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები, კლუბები, კულტურის სახლები) დიდ დახმარებას გვიწევენ მასალების შეკრებაში, თქმულებისა და ინფორმატორების გამონახვაში. ექსპედიციის გამოჩენა ყოველ სოფელში დიდ ინტერესს იწვევს.

დღემდე აღრიცხულია 200-ზე მეტი თქმული. მოხდა მათი რეპერტუარის ფიქსაცია. თქმულთა შორის არიან სოციალისტური შრომის ფრონტზე სახელმოხვეჭილი ადამიანები — მექანიზატორები და მთესავები, მევენახეები და მეაბრეშუმენი, მწველავები, მწყემსები, გუთნისდედები, დღისა და ღამის მეხრეები, მომკელები, მთიბავები, ნავთობის ჭაბურღილებზე მომუშავეები და სამგორის ველის მრწყველები. რეპერტუარის შინაარსითა და ფოლკლორული ცოდნის მრავალფეროვნებით, მხატვრული ალღოთი გამოირჩევიან თქმულები: გიგა იორამაშვილი, გიგა კახაბრიშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, იოსებ ჯერანაშვილი, ნიკა ბერუაშვილი, ზაქრო სამკუაშვილი, გიორგი ბერიძიშვილი, სოფიო კახაბრიშვილი (მარტყოფი); გიორგი გაბარაშვილი, ვასო ქარსუაშვილი, მათე გაბარაშვილი (ლილო); გიგია მგლას-ძე ქისტაური, ვანო ხეცურიანი, ბიძურა გოგოჭური, თათარა წიკლაური, შიო ჩოხელი, ნიკო არაბული, ივა ქიზიყაშვილი, ალექსანდრე ჯინჭარაძე (სართიჭალა); ივანე მანგაძე, კოლა შინდელაშვილი, კატო სვანიძე, (უჯარმა); ალექსი დათიაშვილი, ნინო გოგიაშვილი, მიტრო მაჭარაძე (ახალსოფელი); დავით იმერლიშვილი, ივანე წიკლაური, მარიამ ჭრიკიშვილი, სოფიო ხუციშვილი, მარიამ მესტვირიშვილი, ამირან ტაბლიაშვილი, დავით ჭრიკიშვილი (ნორიო); სუმბათა, სადარა და ბუბა ჭინჭარაულები, ნათელა ზვიადაური, იოსებ გელაშვილი (გამარჯვება); გიორგი არაბული (ჰალდო) და სხვ.

ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრებითა და მთქმელებთან მეთოდური მუშაობით თავი ისახელეს ახალგაზრდა ფოლკლორისტებმა გ. ხორნაულმა, ნ. სახელაშვილმა, ნ. გოგოჭურმა, შ. კოსტანტინიდმ, ნ. კოტეტიშვილმა, ხ. კეშელავამ, ს. ქეთელაურმა, ე. ასლამაზიშვილმა, გ. გობრონიძემ, დ. წერედიანმა, უ. ცინდელიანმა, ე. შალიკაშვილმა და მხატვარმა ლ. მაღალაშვილმა; ექსპედიციას კარგად ეხმარებიან ფოტოგრაფი ბ. ბუბაშვილი და მძღოლი ს. მეჩიტიშვილი.

ასეთია საველე-საექსპედიციო დაკვირვების პირველი შედეგები. მუშაობა გრძელდება. უეჭველია კახეთის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიცია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ხალხის მხატვრული შემოქმედების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლის საქმეში და იმ უახლოესი ამოცანის განხორციელებაში, რაც ქართული ხალხური პოეზიის სრული კრებულის გამოსაცემად მომზადებაში მდგომარეობს.

პროფ. მიხ. ჩიქოვანი,
ექსპედიციის ხელმძღვანელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

თურქეთის ნაკრები მოსკოვში

გუშინ მოსკოვში ჩამოვიდა თურქეთის ეროვნული ნაკრები გუნდი ფეხბურთში. სტუმრებს დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

როგორც ცნობილია, 18 ივნისს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგება თურქეთისა და სსრ კავშირის ნაკრებთა შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ჩვენი ფეხბურთელებისათვის ეს იქნება ჩილის საგზურისათვის ბრძოლის პირველი ასპარეზობა, ხოლო თურქეთის ნაკრებისათვის — მეორე.

პირველი მატჩი სტუმრებმა გამართეს ოსლოში და გაიმარჯვეს ნორვეგიის ნაკრებთან ანგარიშით 1:0. სსრ კავშირისა და თურქეთის ფეხბურთელთა შეჯიბრებას, როგორც ჩვენი გუნდისათვის, განსაკუთრებით კი სტუმრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან თურქ ფეხბურთელებს უკანასკნელი ორი შეხვედრა ექნებათ საკუთარ მოედანზე, სადაც მათ წარმატების მეტი შანსები აქვთ.

საბჭოთა და თურქი ფეხბურთელები არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. ამ მატჩების უმრავლესობაში პრიორიტეტი საბჭოთა სპორტსმენებს ჰქონდათ. მაგრამ უკანასკნელ წლებში თურქეთში ფეხბურთი აღმავლობას განიცდის. ეს ვლინდება სხვადასხვა ჩემპიონატებში, ტურნირებში, საერთაშორისო შეხვედრებში.

თურქეთის ეროვნული ნაკრები ძირითადად დაკომპლექტებულია საკლუბო გუნდების „ფენერბახჩეს“, „გალატასარაისა“ და „ბეშიკტაშის“ ფეხბურთელებით. სწორედ ეს საკლუბო გუნდები არიან ყოველწლიურად ამ ქვეყნის ჩემპიონობის პრეტენდენტები. მაგალითად, გასულ სასპორტო სეზონში თურქეთის ჩემპიონი იყო „ბეშიკტაში“, ხოლო მიმდინარე სეზონში — „ფენერბახჩე“.

თურქი ფეხბურთელები გამოირჩევიან კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით, მაღალი ბრძოლისუნარიანობით.

„აგიტატორის გლოკნოტი“ № 12

გამოვიდა ჟურნალი „აგიტატორის ბლოკნოტი“ № 12. მასში გამოქვეყნებულია შემდეგი მასალები: **ზ. ოსიფაშვილი** — ფართოდ გავშალოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსავლის აღების პერიოდში; **ა. ალლაძე** — საბჭოთა ხალხის დიადი გმირობა; **დ. მაისურაძე** — ჩინელი ხალხის მებრძოლი ავანგარდი; **ლ. დოჭვირი** — მუდამ ახალის ძიებაში; **გ. კინჭოშვილი** — საზოგადოებრივი წესრიგის საგუშაგოზე; ნამდვილი და ყალბი მეგობრობის შესახებ და სხვ.

რედაქტორი
დ. მამედლიშვილი.

14 ივნისი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დიდოსტატის მარჯვენა (მე-15 აბონ. მე-9 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ფიროსმანი, **მარჯანიშვილის სახელობის** — აფროდიტეს კუნძული, **ფილარმონიის საზაფხულო** — აზერბაიჯანის სიმფონიური ორკესტრი.

ტელევიზია: 18.00 — მოსწავლეთათვის. — მხატვრული ფილმი „ეაეიშვილი“, 19.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.50 — სატელევიზიო ნარკვევი „გორის თეატრი დღეს“, 20.20 — ახალი ამბები, 20.35 — მხატვრული ფილმი „საქმე განქორწინების შესახებ“.

კინოები: **რუსთაველის სახელობის,** ამირანი (საზაფხულო), **ოქტომბერი,** ისანი (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის** კლუბი (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის** კლუბი (საზაფხულო), **კოროვის სახელობის** პარკი, **გაზაფხული** — ენგურის ნაპირებზე.

ოსლოს სასროლეთზე

15 ივნისს ოსლოს სასროლეთზე გრძელდებოდა შეჯიბრება ტყვიის სროლაში მსოფლიო პირველობაზე. „გაქცეულ ირემზე“ სროლაში გუნდური პირველობა საბჭოთა გუნდს ხვდა.

პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა კრაუმ.

ნ. ასათიანი — სსრ კავშირის ჩემპიონი

15 ივნისს ლენინგრადში გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ფარიკაობაში. ეს ჩემპიონატი გამოირჩევა მასობრივობით, ბრძოლის სიმწვავით. ფარიკაობის გამოცდილ ოსტატებთან ერთად წარმატებით გამოდიან ახალგაზრდები, რომლებიც ამეღავნებენ კარგ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა ხმლით მოფარიკავეთა ასპარეზობა. აქ წარმატებით გამოვიდა საქართველოს მოფარიკავე ნ. ასათიანი, რომელმაც სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი მოიპოვა.

კოლონელი კალათბურთელები სტუმრად თბილისში

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების გასამართავად გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს სტუმრად ეწვია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდები.

პოლონელ მეგობრებს თბილისელმა სპორტსმენებმა, გულითადი შეხვედრა მოუწყეს. ჩვენი სტუმრებისა და თბილისელ კალათბურთელთა საერთაშორისო მატჩები გაიმართება სპორტის სასახლეში 17 და 18 ივნისს.

17 ივნისს პოლონელ კალათბურთელთა წინააღმდეგ გამოვლენ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები, ხოლო 18 ივნისს — „ბურევესტნიკის“ კალათბურთელები.

საერთაშორისო მატჩი

გუშინ მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში ნიდერლანდის „გვავისა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 3:2.

რამდენიმე სტრიქონით

△ **მოძმე რესპუბლიკების გაზეთების** სტენდი გაკეთდა პლეხანოვის პროსპექტზე ობსერვატორიის შენობის გვერდით. აქ ყოველდღიურად შეიძლება წაკითხვა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის ახალი გაზეთებისა რუსულ ენაზე. სტენდი მიმზიდველად არის გაფორმებული და ბევრ მკითხველს იზიდავს.

△ **ვაკის კულტურისა და დასვენების** ულამაზეს პარკში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ მოაწყო ღამაზად გაფორმებული გამოფენა რომელიც ასახავს თბილისის მრეწველობის, კულტურისა და მეცნიერების დარგის მიღწევებს. მზადდება სტენდი „ძველი და ახალი თბილისი“.

△ **კომპლექსური საბავშვო ბაგა-ბაღის** შენობა, რომელიც გათვალისწინებულია 135 ბავშვისათვის, შენდება ლენინის რაიონში მე-2 პიონერის ქუჩაზე. იგი საექსპლოატაციოდ გადაეცემა სექტემბრის პირველ რიცხვებში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:

თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-72-80, სამდივნოსი —3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—3-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების— 3-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის—3-76-90, წერილების—3-73-24, „სალუსტრაციო—3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

УЭ 03967

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.